ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

10 მაისიდან!

ახალ თაობასთან“ ერთად

ქართული დეტექტივი

მონანიება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




!) 2 !! vfbcb7 @)!$

1109 (6420)

afcb5 #) stshb



## ირინა იმერლიშვილი ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ

გვ.2

რატომ არ უთანხმებს თავდაცვის მინისტრი გადაწყვეტილებას პრემიერს



## პროკურატურამ რუსთავი-2“-ის საქმეზე შუალედური შედეგები გამოაქვეყნა

გვ.6

## ნანა დევდარიანი: ქართული ოცნება“ ნაცმოძრაობას ვერ შეელევა“

გვ.3





გვ.6

## რომან გოცირიძე: ბიზნესის დატერორება გრძელდება“



გვ.6

ISSN 1987-9385

9 771987 938006

## ანა ჯოხაძე: ნუ გვაიძულებთ, ნოშრევან ნამორაძის გზას დავადგეთ!“



## ჰოლანდიის სამეფოს არქივში მე-18 საუკუნის საქართველოს ორი რუკა აღმოაჩინეს

გვ.4



# ირინა იმერლიშვილი ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ

## რატომ არ უთანხმებს თავდაცვის მინისტრი გადაწყვეტილებას პრემიერს

შორენა მარსაგიშვილი

ამირსპასალარ ირაკლი ალასანიას თავზე შავი ღრუბლები გროვდება. მთავრობაში მის მიმართ უკმაყოფილებას უკვე ღიად აფიქსირებენ, რაც თავდაცვის მინისტრს ნაკლებად აინტერესებს. ექსპერტების ნაწილის მტკიცებით, ის მალე დამოუკიდებლად დაიწყებს თამაშს. ამაში მას ახლახან გამოქვეყნებული რეიტინგიც შეუწყობს ხელს.

ლუის ნავაროს კანტორის მიერ გამოქვეყნებული კვლევებით გაირკვა, რომ ერს ამ მთავრობაში ყველაზე მეტად ირაკლი ალასანია მოსწონს თურმე. მთავრობის წევრები ამ კვლევებს დიდი სიხარულით არ შეხვედრიან. ამის გამო ღაწვები აშკარად არავის დაუხოკავს, თუმცა ბოლო დღეებში მისი მისამართით კრიტიკა უკვე გაისმა. ამასთან მინისტრების ნაწილმა აღნიშნა, რომ ისინი ალასანიას რეიტინგით გახარებული არიან. მისი რეიტინგის ავარდნა ცოტა გაუკვირდა პარლამენტის ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს.

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგებში ადგილები ასე გადანაწილდა. პირველ ადგილს თავდაცვის მინისტრი იკავებს — ირაკლი ალასანიას საქმიანობას დადებითად 38% აფასებს, მას შინაგან საქმეთა მინისტრი მოსდევს 34%-იანი მაჩვენებლით, მესამე ადგილზე იუსტიციის მინისტრია, რომლის საქმიანობა გამოკითხულთა 33%-ს მოსწონს. ხუთეულში მოხვდნენ მაია ფანჯიკიძე — 25% და კახი კალაძე 26%. მეექვსე ადგილზე ჯანდაცვის მინისტრია 24%-იანი მხარდაჭერით. 15-კაციან სიას გარემოს დაცვის მინისტრი ასრულებს, ბოლოდან მეორე და მესამე ადგილებს კი 13-13%-ით დევნილთა და ეკონომიკის მინისტრები ინაწილებენ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ამტკიცებს, რომ მისთვის რეიტინგებს მნიშვნელობა არა აქვს. პაატა ზაქარეიშვილისთვის მნიშვნელოვანი წარმატება ყოფილა.

— ალასანიას საქმეები ჩანს და ჩემი საქმეები არ ჩანს. ჩემი საქმეები სულ ცოტა 3-4 წელი არ გამოჩნდება, ამიტომ, მე მზად ვარ ბოლოდან მესამეზე კი არა, ბოლო ადგილზე დავინახო ჩემი თავი. ჩემთვის რეიტინგებს მნიშვნელობა არა აქვს. ჩემთვის მნიშვნელოვანი წარმატებაა, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა და ალასანიას ერთი განცხადებაც შეაფასა. ალასანიამ ჯერ კიდევ აპრილის თვეში განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტრომ აგვისტოს ომის შესწავლა დაასრულა. ეს დოკუმენტი ჯერ საჯარო არ გამხდარა, შესაბამისად, შიგ რა წერია, ბევრმა არ იცის. ალასანიას განცხადებით, ამ დასკვნით ირკვევა, რომ ომი რუსეთმა დაიწყო. ზაქარეიშვილის აზრით, ის უფრო მნიშვნელოვანია, როგორ წამოეგო ომს საქართველო.

— ეს ანგარიში მე არ მინახავს. თუ არ ვცდები, საიდუმლო დოკუმენტია და სხვა რეჟიმში მოხდება ამ დოკუმენტის გაცნობა. ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ დაიწყო ომი. ომი მოხდა და დაზარალდა საქართველო. თუ ვინ დაიწყო ომი, ეს არის სააკაშვილის კითხვა. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ დაიწყო ომი. სამწუხაროდ, ეს ომი შედგა. რამდენად პასუხს უნდა აგებდეს ხელისუფლება, რომელმაც ვერ აიცილა თავიდან ომი, ეს კითხვა ჩემთვის ყოველთვის აქტუალურია. რუსეთმა დაიწყო ომი, — ამბობს ალასანია. გასაგებია, მშვენიერია, რომ ასეთი დასკვნა არის, მაგრამ როგორ წამოეგო ომს საქართველო, ამას ათასჯერ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის. ეს არ უნდა მომხდარიყო. ჩვენ დავზარალდით ყველაზე მეტად, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

თავდაცვის მინისტრის რეიტინგზე არაფერი უთქვამს, მაგრამ უშიშროების საბჭოს მდივანმა მას განცხადებები, უფრო სწორად კი, ქცევა დაუწუნა.



საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, დასავლეთმა უნდა გამოიყენოს შესაძლებლობა და თავად შექმნას რეალობა, შესთავაზოს ნატო-ს წევრობა ასპირანტ ქვეყნებს და განათავსოს იქ თავდაცვითი საშუალებები, განსაკუთრებით კი საქართველოში. როგორც მან ვაშინგტონში, ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საქართველოში უნდა განთავსდეს საჰაერო თავდაცვითი შესაძლებლობები და რუსეთი მიხვდება, რომ ნატო სერიოზულად უდგება საკითხს.

ირინა იმერლიშვილის განცხადებით, როდესაც თავდაცვის მინისტრი ასეთ განცხადებას აკეთებს, ეს წინასწარ უნდა შეათანხმოს მთავარსარდალთან. უშიშროების საბჭოს მდივანი აცხადებს, რომ თავად ის ამ განცხადებას ეთანხმება.

— როგორც აპატურაიმ განაცხადა, ამ საკითხზე იმსჯელებს ნატო და ეს უკვე თავისთავად კარგია. თავდაცვის მინისტრი როდესაც აკეთებს ასეთ განცხადებას, ვფიქრობ, წინასწარ ალბათ უნდა იყოს ხოლმე შეთანხმებული მთავარსარდალთან, როგორც წესი და ალბათ, უშიშროების საბჭოზეც უნდა ხვდებოდეს ასეთი საკითხები. თუმცაღა განცხადებას მეც ვეთანხმები, — განაცხადა იმერლიშვილმა.

იმერლიშვილის ამ განცხადებას ეთერში დიდი გამოცოცხლება მოჰყვა. ახლა ყველა იმაზე მკითხაობს, გადავა თუ არა ირაკლი ალასანია ოპოზიციაში.

იმერლიშვილის განცხადებას საინტერესოდ გამოეხმაურა ყოფილი დეპუტატი ეკა ხერხეულიძე.

— პრემიერი არ ელაპარაკება პრეზიდენტს, პრეზიდენტი ელაპარაკება მხოლოდ ირინა იმერლიშვილს, თავდაცვის მინისტრი ელაპარაკება კვლევის შედეგებს, ვიცე-პრემიერი ფიქრობს, ვისთან ჯობს მეგობრობა და ამ ჭოჭმანში დაილალა რყევებით, საგარეო საქმეთა მინისტრი ელაპარაკება კარასინს აბაშიძის მეშვეობით, შსს მინისტრი გარდატეხის ასაკს ებრძვის, კულტურის მინისტრი ყველას ელაპარაკება კულტურის გარდა (უბრალოდ, მას არავინ ელაპარაკება), განათლების მინისტრს დაავიწყეს, რომ პრეზიდენტის სიყვარული მისი ვალდებულებაა და ა.შ... ამ შეკვეთილი ურთიერთობების განმსაზღვრელი ერთი „მოქალაქეა“, რომელსაც ზებრაზე კიდია 54%-I, ჩვენზე რომ აღარაფერი ვთქვათ და ყველა ერთად დამოკიდებული ვართ ზოოპარკის გამძლეობაზე, — წერს ეკა ხერხეულიძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში მსახიობი და რადიოწამყვანი გია კორკოტაშვილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებას აფასებს, რომლის მიხედვითაც ალასანია თანახმაა, რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარები საქართველოში განალაგოს.

— ეს მართლა რომ მოხდეს, რუსეთი გაგვლეჭავს. ალასანია რაკეტებსა და ამერიკას რომ ეპატიჟება, ჩამობრძანდით და სარაკეტო დანადგარები ჩვენთან დააყენეთო, ამის გამო რუსეთი ტანკებით რომ შემოგრუხუნდეს, ალასანია დახვდება? ირაკლი ალასანიას კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ამერიკული „ხედვა“ აქვს. ასე იმიტომ „ხედავს“, რომ პირადი კეთილდღეობა აქვს უზრუნველყოფილი. როგორც კი ამერიკელების მიმართ დიდ სიყვარულს გამოვამჟღავნებთ, გეუბნებით, რუსეთი გაგვლეჭავს. ეს ურთიერთობები დაბალანსებული უნდა გვქონდეს. ნუთუ ვერ ხვდებიან ამას? ამერიკა კი ჩვენ გამო რუსეთს ომს არ დაუწყებს. ამის თვალნათელი მაგალითია უკრაინა. ყველაზე დიდი უბედურება, რომელიც ქართველ ერს სჭირს, არის ბურანში ყოფნა. ერთი რამ მინდა გაითვალისწინოს ქართველმა ხალხმა: თითოეულ ჩვენგანს ერთი გოჯი მიწა და ერთი გოჯი პასუხისმგებლობა გვეკუთვნის და უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ წილ პასუხისმგებლობას სხვას ვერ გადავაბარებთ. ვიდრე ამას არ გავაცნობიერებთ, სულ ამ დღეში ვიქნებით, — აცხადებს კორკოტაშვილი.

ყოფილი დეპუტატი ფიქრია ჩიხრაძე ვარაუდობს, რომ თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ კოალიცია დაიშლება.

— არავისთვის არ იქნება მოულოდნელი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ კოალიცია „ქართული ოცნება“ ამ ფორმით ვერ შენარჩუნდეს. ერთ თვეში დაიშლება, ორში თუ სამში, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, — განაცხადა „რეპორტიორის“ პრესკლუბში ფიქრია ჩიხრაძემ.

მისი თქმით, არათუ კოალიციაში, პარტია „ქართულ ოცნებაშიც“ კი არაა ერთიანი ვერტიკალი ჩამოყალიბებული.

— ამას ნიშნით მოგებით არ ვამბობ. კოალიციამ აიღო პასუხისმგებლობა ქვეყნის გუნდურ მართვაზე. ეს პასუხისმგებლობა უნდა გამოიხატებოდეს ერთიან ხედვაში. დღეს კი ჩვენ ვერ ვგრძნობთ კოალიციის ერთიან ხედვას, — განაცხადა „რეპორტიორში“ ჩიხრაძემ.

# „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარების ვინაობა გაამხილა

შორენა მარსაგიშვილი



კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“, როგორც იქნა, გაამხილა იმ მაჟორიტარობის კანდიდატების ვინაობა, ვინც „ქართული ოცნების“ პარტიული სიით იყრის კენჭს. გუშინ ისინი თბილისის მერობის კანდიდატმა დავით ნარმანიამ წარადგინა.

ესენი არიან: 1. ჯაბა ჯიშკარიანი — „ქართული ოცნება“ — მთაწმინდა. 2. გიორგი მუსხელიშვილი — „თავისუფალი დემოკრატები“ — ძირეული ვაკე, ბაგები, წყნეთი. 3. გოჩა ბაბუნაშვილი — „ქართული ოცნება“ — ნუცუბიძის ფერდობი, ვაჟა-ფშაველას კვარტლები. 4. შორენა ბუხრაშვილი — „ეროვნული ფორუმი“ — სოფელი დიღომი, ვაშლიჯვარი, დიდი დიღომი. 5. გივი ჭიჭინაძე — „ქართული ოცნება“ — ვეძისი, კანდელაკის ქუჩა, ვაჟა- ფშაველა, ყაზბეგის გამზირი, საბურთალოს მარცხენა ნაწილი, პეკინის ნაწილი, გოთუას ქუჩა. 6. დავით ზურაბიშვილი — „რესპუბლიკური პარტია“ — საბურთალოს მარჯვენა ნაწილი, პეკინის ნაწილი, იოსებიძე, შარტავას, დოლიძის, ხილიანის, ბახტრიონის, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია. 7. ბექა ნაცვლიშვილი — „ქართული ოცნება“ — კრწანისი, ფონიჭალა. 8. ილია ჯიშკარიანი — „თავისუფალი დემოკრატები“ — ავლაბარი, მეტრომშენი. 9. ირაკლი აბუსერიძე — „ქართული ოცნება“ — ვაზისუბანი, მერვე ლეგიონი. 10. ზურა ნეფარიძე — „ეროვნული ფორუმი“ — ნავთლუღი. 11. ია მაკასარაშვილი — „ქართული ოცნება“ — ვარკეთილი. 12. ლევან დარახველიძე — „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ — მესამე მასივი. 13. გულიკო ზუმბაძე — „რესპუბლიკელები“ — ვარკეთილის დასახლება, ორხევი, აეროპორტი, წინუბანი, ნასაგური, დიდი ლილო, პატარა ლილო. 14. ლია ჯახველაძე — „თავისუფალი დემოკრატები“ — მოსკოვის გამზირი, აფრიკა. 15. რიმა ბერაძე — „ქართული ოცნება“ — ჩუღურეთი. 16. ლადო ძნელაძე — „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ — დიდუბე. 17. თარაშ შურღაია — „ქართული ოცნება“— დიღმის მასივი. 18. დავით ჭელიძე — „ქართული ოცნება“ — ნაძალადევი, ლოტკინი. 19. გივი გოგლიძე — „ეროვნული ფორუმი“ — ნაძალადევი. 20. ზაზა კოლელიშვილი — „ქართული ოცნება“ — სანზონა. 21. ჯაბა სამუშია — „ქართული ოცნება“ — თემქა. 22. კობა კობალაძე — „ქართული ოცნება“ — ავჭალა, ზაჰესი, კონიაკის დასახლება, გლდანულა, სოფელ გლდანის მუნიციპალიტეტები. 23. ნინო გოგუაძე — „კონსერვატორები“ — გლდანი — ლუწი მიკრორაიონები. 24. მურთაზ შელია — „ქართული ოცნება“ — გლდანი — კენტი მიკრორაიონები. 25. ქეთი ჯოხაძე — „კონსერვატორები“ — მუხიანი, სამხედრო დასახლება.

ცნობილი გახდა, თბილისსა და რეგიონებში „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობისა და გამგებლობის კანდიდატების ვინაობაც.

მთაწმინდაზე „ნაციონალური მოძრაობიდან“ მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება დათო ავალიანი, ვაკე (ნუცუბიძე, ვაჟა-ფშაველა) — თამაზ შოშიაშვილი, ვაკე (ძირეული ვაკე, ბაგები, წყნეთი) — ბაჩო დოლიძე, საბურთალო (პეკინის ქ., ხილიანი, დოლიძის ქ.) — აკაკი კილასონია. საბურთალო (დიდი დიღომი, ვაშლიჯვარი, სოფ. დიღომი) — ქეთი ქოჩორაშვილი, საბურთალო (ვეძისი, კანდელაკი, ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგის გამზირი, საბურთალოს მარცხენა ნაწილი, პეკინის ნაწილი, გოთუა) — ჯარჯი დოლიძე, კრწანისი — ხათუნა ბერძენიშვილი, ისანი-ავლაბარი — ბესო კვიციანი, ისანი (ნავთლუღი) — დავით კირთაძე, ვაზისუბანი — გოგა ონიანი, სამგორი (მოსკოვის გამზ., აფრიკა) — ჟღენტი დათო, სამგორი (ვარკეთილი 3) — ლევან ხაბეიშვილი, სამგორი, მესამე მასივი — პაატა ქორელი, სამგორი (ვარკეთილის დას., ორხევი, აეროპორტი, წინუბანი, ნასაგური, დიდი ლილო, პატარა ლილო, ლილოს დასახ.) — ბესო გაზდელიანი, ჩუღურეთი — დავით დაღელაშვილი, დიდუბე — დავით ნაფეტვარიძე, დიდუბე (დიღმის მასივი) — ირაკლი დვალი, ნაძალადევი (ნაძალადევი) — ლამარა გოგინაშვილი, ნაძალადევი (ლოტკინი) — შოთა ქურდაძე, ნაძალადევი (სანზონა) — მამუკა გუგეშაშვილი, ნაძალადევი (თემქა) — ვახო ცაგარეიშვილი, გლდანი (კენტი მკ.) — გიორგი ასიტაშვილი, გლდანი(ავჭალა, ზაჰესი, კონიაკის დას.) — ნოდარ სანდუხაძე, გლდანი (მუხიანი, სამხედრო დას.) — ლექსო თაბუაშვილი, გლდანი (ლუწი მკ. რაიონები) — კახა ბროკიშვილი.

რეგიონებში „ნაციონალური მოძრაობის“ მერობისა და გამგებლობის კანდიდატები იქნებიან: მცხეთა: მერი — გურამ კინწურაშვილი, გამგებელი — ცირა ჯავახიშვილი; ზუგდიდი: მერი — თემურ ბასილაია, გამგებელი — თენგიზ გუნავა; გორი: მერი — არჩილ საბიაშვილი, გამგებელი — კახა ტოლიაშვილი; ამბროლაური: მერი — ოთარ სირაძე; რუსთავი: მერი — მამუკა ჩიქოვანი; თელავი: მერი — ალექსი ძულიაშვილი, გამგებელი — გიორგი ბოტკოველი; ქუთაისი: მერი — გიორგი თევდორაძე; ახალციხე: მერი — გელა დემეტრაძე, გამგებელი — გოჩა გვარამაძე; ოზურგეთი: მერი — ლევან გოგუაძე, გამგებელი — შალვა თავდიშვილი; ბათუმი: მერი — გიორგი დიასამიძე.

უფრო ადრე დაასახელა მაჟორიტარობის კანდიდატები ნინო ბურჯანაძემ. თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატებად დასახელდნენ: ვაკის რაიონი — ლევან ასათიანი, ვაკის რაიონი — ინგა ახვლედიანი, ისანი — კახა ძაგანია, ისანი — ვალერი ჩოჩია, გლდანი — ბესო დანელია, გლდანი — დავით მეფარიშვილი, გლდანი — როსტომ მთვარაძე, დიდუბე — გურამ კვირიკაშვილი, დიდუბე — რამაზ გაგნიძე, ნაძალადევი — ილია ბაზიერაშვილი, ნაძალადევი — ნოდარ მელაძე, ნაძალადევი — თენგიზ მუჯარიძე, საბურთალო — შალვა ოგბაიძე, საბურთალო — გიორგი საჯაია, საბურთალო — თენგიზ გენებაშვილი, კრწანისი — თამარ ქალდანი, სამგორი — თამაზ თეკრაძე, სამგორი — იოსებ შატბერაშვილი, სამგორი — რამინ სხირტლაძე.

მაჟორიტარების ნაწილი დაასახელა „არასაპარლამენტო ოპოზიციამაც. ესენი არიან: დელისი — ლაშა ჩხარტიშვილი; კრწანისი — ერიმეა ბერიშვილი; ავლაბარი — როლანდ ბერიძე; ვაზისუბანი — რამაზ ცატავა; ვარკეთილი — დოდო ჭელიძე; ჩუღურეთი — დავით შვანგირაძე; დიდუბე — მანანა ნაჭყებია; დიღმის მასივი — გიორგი თავდგირიძე;

ლოტკინი — ფრიდონ ჩილუნაძე; ნაძალადევი — ნინო სირბილაძე; სანზონა — გელა კეტაშვილი; მუხიანი — ავთანდილ სულაქველიძე და გლდანის კენტები — ლევან კალანდაძე.

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ნანა დევდარიანი: ქართული ოცნება“ ნაცმოძრაობას ვერ შეელევა“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანთან

***— ქალბატონო ნანა, დღეს ბევრი ექსპერტი და ოპოზიციონერი საუბრობს იმის თაობაზე, რომ იმედგაცრუებული ხალხი თავად გადავიდა სამართლის აღდგენაზე. თქვენი აზრით, ეს თუ მართლა ასეა, მაშინ რამდენად საშიშ პროცესებთან გვაქვს საქმე?***

— საერთოდ, ეს მართლა სახიფათო პროცესია, იმიტომ რომ სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა, მან უნდა აღასრულოს მართლმსაჯულება. ჩვენ, ყველაფერთან ერთად, გარდა სამართლიანობისა, პირდაპირ გვეუბნება ამას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ეს არის ვალდებულება სახელმწიფოსი. ის კი არ არის, რომ მოუნდება, გააკეთებს, მოუნდება, არ გააკეთებს. ამიტომ, როდესაც სახელმწიფო ამას არ აკეთებს, იწყება უმართავი პროცესები. მე თუ მკითხავთ, კიდევ ძალიან დიდხანს მოთმინება გამოიჩინა ამ დაზარალებულმა ხალხმა, უკვე წელიწად-ნახევარზე მეტია გასული და, ფაქტობრივად, ჩვენ იმის სერიოზული ფაქტები, რომ ხალხს წართმეული დაბრუნებოდა ან, დავუშვათ, მკვლელები დასჯილიყვნენ ან ჯალათები და ასე შემდეგ, აი, ასეთი ხელშესახები ფაქტები თითქმის არ არის. ბოლო მოვლენებმა, ნოშრევან ნამორაძის, დაზარალებული ბიზნესმენის შემთხვევებს ვგულისხმობ, კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ გაუთავებლად და უსასრულოდ ასე ვერ იქნება. ვინ ვის სად გადაეყრება და როდის გადაეკეტება გონება, ეგ არავინ იცის. ასე რომ, ეს ძალიან სახიფათო მოვლენებია, ბევრად უფრო სახიფათო, ვიდრე ეს, ნაციონალების წამოწეული უაზრო თემები, რომ აი ახლა რუსის ჯარი შემოვა და ყურადღების გადატანა ამაზე.

***— ალბათ, კონკრეტულ ზომებს უნდა მიმართოს ხელისუფლებამ. თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს?***

— რა თქმა უნდა, უნდა მიმართოს. ახლა ეს ცალკეული განცხადებები რომ უნდა ვაპატიოთ, ალასანიამ თქვა, იმ დღეს მოგვიწევს, რომ რაღაცები ვაპატიოთო. ამაზე ერთ-ერთი სასულიერო პირი გამოეპასუხა კიდეც, რომ შენ ვინ ხარ, რომ სხვის მაგივრად აპატიო. რა უფლება გაქვს, რომ შენ აპატიო, როცა უამრავი ადამიანია გამწარებული, თავად თუ იტყვის ესა თუ ის დაზარალებული, რომ მე ვპატიობ, ეს სხვაა, მაგრამ სხვის მაგივრად შენ რას პატიობ?! შესაძლოა, დაზარალებულმა გამოიჩინოს დიდსულოვნება, მაგრამ შენ, მესამე პირი, ვინ ხარ, რომ მის მაგივრად პატიობ?! უბრალოდ, რა არის იცით, პოპულისტობას უნდა მოეშვან. არის რეალურად ისეთი საქმეები, რომელიც ვერ გაიხსნება, ან იმის გამო, რომ დრო არის გასული, ან იმის გამო, რომ მტკიცებულებებია განადგურებული. ასეთი რამ შეიძლება იყოს. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს უნდა ეყოს იმის გაბედულება, რომ თქვას ეს ხმამაღლა.

***— თუმცა, სწორედ ასეთ საქმეებზე მიდის აპელირება და პოპულისტობა... ატყდება აჟიოტაჟი, რომ აი დღედღეზე გაიხსნება საქმე, თუმცა შემდეგ ისევ ისე მინელდება... და რეალურად რაც წინ უდევთ იმას არ იძიებენ...***

— სწორედ ამაშია საქმე. მაგალითად, არის ქონებრივი საკითხები და იმ ქონების დაბრუნებას წინ არაფერი უდგას. რაღაცა მძიმე დანაშაულის გახსნა თუ არ ხერხდება, ამის გაკეთება ნამდვილად შეიძლება. მე ხშირად მომყავს ეს მაგალითი, მაგრამ იგივე ნაპოლეონ ქარქაშაძის შემთხვევა რომ ავიღოთ, მისი ქონება დღესაც არის სახელმწიფოს ბალანსზე, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე. რით ვერ დაუბრუნეს?! აქაც ხომ ვიღაცა არაკეთილსინდისიერი მყიდველი არ არის, ვიღაც მომჩივანი და ვიღაც ხომ არ იძახის, რომ მაჩუქა და გადმომიფორმაო?! ეს მართლა პოლიტიკური ნების საკითხია და, გარდა ამისა, ელემენტარულად გონიერების საკითხიც არის, იმიტომ რომ აი ახლა ადგილობრივი არჩევნებია და ვის მისცემს ხმას ის ხალხი, რომელიც წელიწად-ნახევარია ელოდება სამართალს.

***— ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია ამდაგვარი შეფასებები, რომ შეუძლებელია წართმეული ქონების უკან დაბრუნება. რატომ არის შეუძლებელი?***

— მე არ მესმის. მაშინ გარკვევით გვითხრან, რატომ არის შეუძლებელი, ეკონომიკის ბალანსზე არსებული ქონება დაუბრუნდეს მეპატრონეს?! ან რატომ იყო შესაძლებელი, მაგალითად, „ქართოს“ საქმის ბოლომდე მიყვანა?! ე.ი. რაღაც შემთხვევებში ეს ხერხდება ხომ? ამიტომ არიან ესე გაგულისებული ეს ნაციონალები, ხედავენ, რომ აბსოლუტურად არაფერში არანაირი პრობლემები არ შეუქმნეს. ახლა იმას დავობენ კიდევ, დაკითხვებზე რატომ იბარებთ ხალხსო. ან ეს მორატორიუმი რა არის? მე არ გამიგია ეგეთი რაღაცა, რადგან არჩევნებია, მორატორიუმი გამოვაცხადოთ და არავინ არ დავკითხოთ, არავის პასუხი არ მოვკითხოთ. დამნაშავე უნდა დაისაჯოს არჩევნებამდეც, არჩევნების დროსაც და არჩევნების მერეც! თუ ის დამნაშავეა და ეს უნდა დაამტკიცო!

***— რადგან შეიქმნა ერთი და ორი პრეცედენტი, ხომ შეიძლება, აიღოს ხალხმა თავზე ხელი და მართლაც მოხშირდეს ანგარიშსწორების ფაქტები?***

— ეს იქნება ძალიან ცუდი. აქ უკვე ხელისუფლების საკითხი აღარ არის. სახელმწიფოში, რომელშიც ასეთი პირადი ანგარიშსწორებები ხდება, იმას სახელმწიფოს ველარ დაუძახებ. ეს ძალიან ცუდი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ აქა იქ ნაცემი ნაციონალების ამბავი ვიღაცას გულზე მალამოდ ეფინება, მაგრამ არაფრით არ შეიძლება ამის დაშვება. ადამიანი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, მის საქმეზე სამართალი დადგება.

***— ქალბატონო ნანა, კიდევ ერთ აქტუალურ თემს მინდა რომ შევეხოთ, თქვენთვისაც ცნობილია, რომ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამ. არასამთავრობო ორგანიზაციებიდან გვესმის უამრავი შეურაცხმყოფელი განცხადება საპატრიარქოს მისამართით, რომ თურმე საპატრიარქო რუსეთის ფილიალი ყოფილა, პატრიარქი კი რუსეთის აგენტი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...***



— საკითხი დგას ასე, რომ თუ ვინმე იტყვის, ცუდია და არ გვინდა ამის მიღება, ე.ი. თქვენ გინდათ დისკრიმინაცია და იმიტომ ხართ ამის წინააღმდეგი. საქართველოს კანონმდებლობაში, სხვადასხვა კანონში არის ასახული ეს ანტიდისკრიმინაციული ნორმები და არანაირი აუცილებლობა ახლა ამის ცალკე თავმოყრილად არ იყო. მოდით შევხედოთ ისე, როგორც არის და ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი. ჩვენი ხელისუფლება არის დავალებული დასავლეთისგან, როდესაც ქვეყნის გარედან მხარდაჭერით ხარ შენ მოსული, ყოველთვის იყურები იქით. წინსწრებით ცდილობენ, ასიამოვნონ ევროპელებს, აი, ეს არის, მეტი არაფერი. თორემ სინამდვილეში, ამ კანონიდან მართლაც ერთი ნაბიჯი რჩება ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებამდე და შემდეგ ბავშვების შვილად აყვანამდე. მიუღებელია ეს ამ მრწამსის ადამიანებისთვის და არ შეიძლება ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლა. ჩვენ გვყავდა უკვე ხელისუფლება, რომელიც საკუთარი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ და ხალხის ჯიბრით აკეთებდა ყველაფერს. ასე არანაირად არ გაუწიო ანგარიში უმრავლესობას, არავის არაფერი ჰკითხო და ქედმაღლურად იძახო — შენ უფრო უკეთესად იცი, როგორ უნდა იცხოვროს მთელმა ხალხმა, ეს კარგს არაფერს მოგიტანს.

***— რამდენად მიმდინარეობს დღეს ქართული ეკლესიის დისკრიმინაცია?***

— ეს დისკრიმინაცია კი არ არის, ეს არის მცდელობა, რომ მისი ავტორიტეტი შეარყიონ. დისკრიმინაციას ისინი მართლა ვერ შეძლებენ, იმიტომ რომ ამისტვის მაშინ მართლაც და ბოლშევიკებივით უნდა გამოაცხადონ ეკლესიაზე დევნა და მებრძოლი ათეისტები უნდა გახდნენ. ეს გიგა ბოკერიას არ დაუმალავს არასოდეს, რომ არის ათეისტი და საერთოდ არ აინტერესებს საპატრიარქოს აზრი და სასულიერო პირების. ამას რა თქმა უნდა, ვერ გააკეთებენ, მაგრამ იმის მცდელობა, რომ ავტორიტეტი შელახონ მისი, ეს დანამდვილებით არის. რაც შეეხება რუსეთის ფილიალს, საქმე რაშია, იცით? ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა ხომ დარღვეულია, მათ შორის რუსეთმა აღიარა ორი სახელმწიფო ჩვენს ტერიტორიაზე, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი, მაგრამ რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ არა აღიარა მათი დამოუკიდებლობა ანუ ერთადერთი, სადაც საქართველოს სხეული რჩება მთლიანი, ეს არის სწორედ მართლმადიდებლობის სულიერების სფერო. ამ დროს კი შენ გამოდიხარ და ილანძღები და კიდევ უფრო ამწვავებ ვითარებას, გამომწვევად იქცევი, იწვევ. ახლა ამას არაფერი ჰქვია, გარდა საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების უგულებელყოფა და პირდაპირი ღალატი.

***— ეს ხომ არ არის მიზანმიმართული ქმედება?***

— ეს ამ იდეოლოგიის ხალხია. რა ფაქტებიც ჩამოთვალეთ, ეს არის ერთი და იგივე იდეოლოგიის მქონე ხალხის ნალაპარაკევი და უცნაურიც არაფერი არ არის. ზოგადად ხალხში მაგათ ეძახიან თავისუფლების ინსტიტუტს. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი თავისუფლების ინსტიტუტიდან არ არის, მაგრამ ამ იდეოლოგიის არის. შორს რომ არ წავიდეთ, თვით ჩვენი პრეზიდენტიც, თავისუფლების ინსტიტუტიდან არის გამოსული. საპარლამენტო უმრავლესობაშიც არიან ასეთი ადამიანები და არც თუ ისე მცირე რაოდენობით და ჩვენ ყველამ სახელებით და გვარებით ვიცით ისინი.

***— და საკმაოდ წამყვან პოზიციებზეც...***

— დიახ. როდესაც ჩვენ ვაკრიტიკებდით ამ ვითარებას და ჯერ კიდევ მანამდე, პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე და ვამბობდით, რომ ასე არ შეიძლება და იგივე „ქართული ოცნების“ კოალიცია უნდა ყოფილიყო ბევრად უფრო დაბალანსებული, მაშინ ყური არავინ არ გვიგდო და ახლა ეს უკვე განხორციელებული ფაქტის სახით გვაქვს.

***— თავიდან მიდიოდა საუბარი და ჩვენც ვხედავდით, რომ უმრავლესობაშიც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა ამ კანონპროექტს, თუმცა ვნახეთ, რომ ყველამ ერთბაშად შეიცვალა პოზიცია. თქვენი აზრით რა მოხდა? საუბარია, რომ ამ ყველაფერს სათავეში ბიძინა ივანიშვილი უდგას და მისი კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ დაუყოვნებლივ უნდა მიღებულიყო ეს კანონპროექტი...***

— მე, როგორც ფაქტი, ეს არ ვიცი, მაგრამ ეს ძალიან ჰგავს მართულ პროცესს, როდესაც დეპუტატებს ეუბნებიან, რომ შენ ასე უნდა მისცე ხმა და არა აქვს მნიშვნელობა შენ ამ აზრს ეთანხმები თუ არ ეთანხმები. ჩვენ გვახსოვს პერიოდი ერთი ქალი რომ დადიოდა ნაციონალური მოძრაობის ზეობისას პარლამენტში რიგებშუა და ხელით რომ უთითებდა, რისთვის უნდა მიეცათ ხმა. გავიარეთ ეს უკვე და ესეც იგივეა. მე არ მესმის, რა აზრი აქვს იყო დეპუტატი, გედოს ჯიბეში მანდატი და იმის უფლებაც კი არ გქონდეს, ხმა ისე მისცე, როგორც შენ თვლი საჭიროდ. ეს უთავმოყვარეობაა.

***— ეს ძველ პერიოდს გაგონებთ?***

— დიახ და სწორედ ამიტომ გავიხსენე, ის ქალი რომ დადიოდა და თითებს უქნევდა დეპუტატებს. ახლა შეიძლება ასეთი ქალი არ დადის, მაგრამ შინაარსობრივად ასეა.

***— რისი მომტანია ეს ყველაფერი? რას უნ და ველოდეთ? ფაქტია, რომ ხალხი იმედგაცრუებულია ახალი ხელისუფლების მიმართ...***

— ეს გააღრმავებს ამ პროცესს, ხალხის ნდობას შეამცირებს ახალი ხელისუფლებისადმი და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მოსწონს ნაციონალურ მოძრაობას, იმიტომ რომ, ჰგონიათ, რომ ამათზე თუ გული აეყრებათ ხალხს, ისევ იმათ მიუბრუნდებიან და ეს ასე არ იქნება! იმიტომ რომ ამათზე გულის აყრა იმიტომ ხდება, რომ ზუსტად იმავეს აკეთებენ, რასაც ნაციონალები. ეს ნიშნავს იმას, რომ ამომრჩევლის დიდი ნაწილი გააკეთებს სხვა არჩევანს, მესამე არჩევანს.

***— დიახ, სწორედ ეს არის საინტერესო, მაშინ როდესაც მცირე დრო რჩება არჩევნებამდე, რამდენად სწორი პოზიციაა, ან რა პოლიტიკაა, რომ ამომრჩევლის თვალში კარგავ ნდობას და იწევს შენი რეიტინგი?***

— აი, საქმეც ეგ არის, ძველი ხელისუფლებაც ასე იქცეოდა ზუსტად, არჩევნების წინ ისეთს გამოაგდებდნენ ხოლმე, რომ თავს იტეხდა ხალხი, რატომ გააკეთეს ეს, ხომ იციან, რომ არჩევნებზე ხალხი ხმას არ მისცემს. ეს არის დემონსტრირება იმისი, რომ თქვენ ვისაც გინდათ იმას მიეცით ხმა, ჩვენ ისე დავთვლით როგორც საჭიროა და არ გამოვა ეს. ახლა უკვე აღარ გამოვა, იმიტომ რომ ძალიან მძიმე პერიოდები გაიარა საქართველომ და ქართველმა ხალხმა და მთლიანად მოსახლეობამ.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ არ მისცემენ გაყალბების საშუალებას?***

— ასეთი შემთხვევებიც იქნება. გაუყალბებელი არჩევნები ამერიკაში არ ტარდება. მცდელობა ამისი იქნება, რა თქმა უნდა.

***— რა შანსები აქვს ოპოზიციას, მითუმეტეს ამ ფონზე? როდესაც ხელისუფლების რეიტინგი ეცემა...***

— საკმაოდ კარგი შანსები აქვს. მართალია, მთლიანად არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანება არ მოხერხდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, არის ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია, ქალაქის მერობის კანდიდატი ძალიან სერიოზული შანსების მქონეა, დიმიტრი ლორთქიფანიძე და სხვა რაიონებშიც საკმაოდ ავტორიტეტული და სოლიდური ხალხია წარმოდგენილი. ზოგი ამბობს, რომ დანაწევრებულია და შანსი მცირდებაო, მაგრამ ასე ერთიანობა არასოდეს არ ხერხდება. უბრალოდ, ხალხმა უნდა შეხედოს იმ თვალით, ვინ უფრო გამოადგება. ახლა ეს ხომ არ არის ერთიანი საპარლამენტო სია, ყველა ადგილებზე სხვადასხვა კანდიდატურაა წარმოდგენილი. უნდა შეხედონ გუნდს, ვის შეუძლია ცვლილებების განხორციელება. ფაქტობრივად, ახლა რჩება ერთადერთი პოლიტიკური ძალა ბურჯანაძის ხელმძღვანელობით, რომელსაც შეუძლია, ნაციონალებსაც და „ოცნებასაც“ გაუწიოს კონკურენცია. თვითონ ოცნება რომ ნაციონალების მომცილებელი და სამართლის აღმდგენი არ არის, ეს დადასტურდა უკვე.

***— არც აწყობთ მათი მოცილებაო...***

— რა თქმა უნდა, არ აწყობთ. ეს ძალიან კომფორტული ოპოზიციაა, სახელშელახული, უავტორიტეტო, დამნაშავე, რომელსაც, როცა გინდა, მაშინ ჩააგდებინებ ხმას, თუმცა ამასაც ვერ ახერხებენ, რომ ხმა ჩააგდებინონ. ორივეს წინააღმდეგ ყველაზე რეალური ძალა მაინც ბურჯანაძე და მისი კოალიციაა

# ნინო ბურჯანაძე: ნაციონალური მოძრაობა რევანშისთვის ემზადება“



კოალიცია „ნინო ბურჯანაძე–ერთიანი ოპოზიციის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის” ყრილობა მათი რევანშის დასაწყისია.

მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა” ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ყველაფერს გააკეთებს და ამის შანსი „ქართული ოცნების” სისუსტის გამო ყოველდღიურად ძლიერდება.

„მოხდა ის, რაზეც ორი წელია, ვსაუბრობ და იმედი მაქვს, „ქართული ოცნება” ახლა მაინც გამოფხიზლდება. ის, რომ “ქართულ ოცნებას” ქვეყანა არ ანაღვლებს, ორწლიანმა კოჰაბიტაციამ აჩვენა. იმედი მაქვს, ახლა მაინც დაინახავენ საკუთარი ხელისუფლებისთვის საფრთხეს და ახლა მაინც დაიწყებენ რეალურად, სამართლიანობის აღდგენის პროცესს“ - აცხადებს ბურჯანაძე და დასძენს, რომ სამართლიანობის აღდგენა ერთადერთი გზაა იმისთვის, რომ ხელისუფლებაში „დამაქცევარი ძალა“ არ მოვიდეს.

მისივე თქმით, ყოფილი მმართველი გუნდი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში ახალი მაიდანი გადმოიტანოს და ხელისუფლებაში მობრუნდეს.

მისივე თქმით, ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ხალხს დიდი იმედი მისცა, მაგრამ, როგორც „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი აცხადებს, ის მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს.

„ივანიშვილმა ხალხი „ნაციონალურ მოძრაობას” და უსუსურ ხელისუფლებას შეატოვა”, - დასძენს ბურჯანაძე.

ნიუსპრესი

მამაკაცების განკურნების ცენტრი

[illegible]

ქ-ნი მარიამი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# ჰოლანდიის სამეფოს არქივში მე-18 საუკუნის საქართველოს ორი რუკა აღმოაჩინეს

ნათია ხურცილავა



ნიდერლანდების სამეფოს არქივში აღმოჩენილ იქნა ორი რუკა და ორი წერილი. აღმოჩენა საქართველოსთანაა კავშირში. წერილები საქართველოს მეფეს არჩილს ეკუთვნის, რომელიც ფრანგულ და ლათინურ ენებზეა შესრულებული. არჩილ მეფის წერილების ადრესატი ჰოლანდიელი ბურგომისტრი ნიკოლას ვიტსენი ყოფილა.

მე-17 საუკუნის მოღვაწე ჰოლანდიელი იმით არის ცნობილი, რომ ის იყო მოგზაური. მოგზაურობის დროს ვიტსენი საფუძვლიანად ეცნობოდა ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიას, ყოფას, კულტურას, ქვეყნის ცხოვრებას. მოგზაური თავის დაკვირვებასა და შთაბეჭდილებას აუცილებლად აქვეყნებდა და უზიარებდა თანამედროვეებს.

ნიკოლას ვიტსენმა, ცნობილია, რომ იმოგზაურა მეფის რუსეთში. მიღებული შთაბეჭდილება ნაშრომის სახით გამოაქვეყნა, სადაც შეეხო საქართველოს ისტორიას, მის ეთნოგრაფიას, კულტურას, ქვეყნის ცხოვრებას.

ნიკოლას ვიტსენი საქართველოს მეფე არჩილ მეორესა და მის ვაჟს, ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვდა. როგორც ვიტსენის წიგნიდან ირკვევა, მან მეფე არ-



ჩილისგან მიიღო მადლიერების წერილი. მეფის მადლიერება კი, როგორც წერილიდან ჩანს, უფლისწულს უკავშირდება.

ისტორიკოსები თანხმდებიან, რომ წერილები და რუკა, რომლებიც საქართველოსთან არის კავშირში და საქართველოს იმდროინდელ რეალობას ასახავს, უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მასალა ჯერ შესწავლილი არ არის და მეცნიერულ გამოკვლევას საჭიროებს.

ქართული ისტორიოგრაფიისთვის რა შედეგების მომტანი შეიძლება იყოს ჰოლანდიაში დაცული რუკა და წერილები, ამას დრო გვიჩვენებს.



**ალექსანდრე დაუშვილი, ისტორიკოსი, პროფესორი:**

— ჰოლანდიაში, ამსტერდამის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ჩვენმა თანამემამულე არჩილ ჯავახაძემ, რომელიც ჰოლანდიის მოქალაქეა, მაგრამ აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს სამეცნიერო ცენტრთან, აღმოაჩინა რამდენიმე რუკა, რომლებიც 1723 წლით თარიღდება. ასევე აღმოჩენილ იქნა ქართველი მეფის არჩილ მეორის მიმოწერა (ორი წერილი ლათინურ და ფრანგულ ენაზე) ცნობილ ამსტერდამელ ბურგომისტრ ნიკოლას ვიტსენთან. ნიკოლას ვიტსენი საერთაშორისო არენაზე ცნობილია, როგორც მოგზაური. მან ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იმოგზაურა რუსეთში. ძალიან კარგად იცნობდა რუსეთის სამეფო ოჯახს, დაახლოებული იყო პეტრე პირველთან და, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ძალიან დაახლოებული იყო არჩილ მეფის ვაჟთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან. როგორც ჩანს, ურთიერთობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ერთ-ერთი წერილი თარიღდება 1686 წლით. წერილი, რომელიც ლათინურ და ფრანგულ ენებზეა, სულ ორი დღის წინ მივიღეთ და დამუშავების პროცესშია. ერთ-ერთ წერილში ნაწყვეტია, სადაც არჩილ მეფე დიდ მადლობას უხდის ვიტსენს მისი შვილის მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისთვის. ალექსანდრე ბატონიშვილი ჰოლანდიაში იმყოფებოდა. ისინი ძალიან დაახლოვდნენ და სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილის დახმარებით ვიტსენმა შეადგინა, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი უძველესი ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი.

***— ნიკოლას ვიტსენი ქართველოლოგი იყო?***

— არა, მოგზაური იყო. ამიტომ დასჭირდა მას ალექსანდრე ბატონიშვილის დახმარება, რომ ლექსიკონი შეედგინა. ჩვენმა ცენტრმა გამოაქვეყნა ნიკოლას ვიტსენის წიგნი, რომლის პრეზენტაციას ჰოლანდიის ელჩი საქართველოში ესწრებოდა. მაშინ აღინიშნა, რომ ვიტსენმა საკმაოდ დიდი მასალა მიუძღვნა საქართველოს. საინტერესო მასალაა დაცული, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.

***— რას ეხება?***

— საქართველოს იმდროინდელ ყოფას, წესჩვეულებებს, ისტორიას. სხვათა შორის, მასალებია მეფე თეიმურაზზე. რაც შეეხება წერილებს, ის პირადი წერილებია, ჯერ ქართულად თარგმნილი არ არის. იმედია, რომ წერილებში საინტერესო ინფორმაცია იქნება, რომელიც გარკვეულ სიახლეს, ჩვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვცემს.

***— რა ღირებულება შეიძლება ჰქონდეს ამ წერილებს?***

— ეს წერილები მიგვანიშნებს, რომ ჩვენ, ქართველებს, დასავლური ორიენტაცია გვქონდა და დასავლეთისკენ მივისწრაფვოდით მუდმივად. ჩვენი კონტაქტები და ინტერესი, რომელიც გვაქვს, შიშველ ადგილზე არ აღმოცენებულა. ამ სწრაფვას საუკუნოვანი, ძლიერი ფუნდამენტი აქვს, რისი ერთ-ერთი დადასტურებაა ნიკოლას ვიტსენი. ალექსანდრე ბატონიშვილის ბედი, მოგეხსენებათ, ტრაგიკული იყო. ის ჩრდილოეთის ომში ტყვედ ჩავარდა. ეს პერიოდი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი მძიმეა საქართველოს ისტორიაში. მიუხედავად ამისა, ქართველი მეფე-მონარქი საქართველოს მომავალზე ფიქრობს, მომავალი კი მას ევროპასთან, ჰოლანდიასთან კავშირში ესახება. ვიტსენის ნაშრომში ერთ-ერთი თავი ოსებთან ურთიერთობას ეხება. სხვათა შორის, პირველი ჰოლანდიურ-ოსური ლექსიკონიც კი არის შედგენილი. ესეც კი მიანიშნებს საქართველოსა და ოსეთის მჭიდრო თანაარსებობაზე. დღეს რუსი ისტორიკოსები და ოსები ისტორიის ამ მონაკვეთს აყალბებენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა რუსულ ენაზე სპეციალური კრებული გამოვეცით, რომელიც აბათილებს მათ მიერ გაყალბებულ ისტორიას.

**ალმოჩენილი ორი წერილი მიგვანიშნებს, რომ ჩვენ, ქართველებს, დასავლური ორიენტაცია გვქონდა და დასავლეთისკენ მივისწრაფვოდით მუდმივად. ჩვენი კონტაქტები და ინტერესი, რომელიც გვაქვს, შიშველ ადგილზე არ აღმოცენებულა. ამ სწრაფვას საუკუნოვანი, ძლიერი ფუნდამენტი აქვს, რისი ერთ-ერთი დადასტურებაა ნიკოლას ვიტსენი.**



***— რა შეგიძლიათ თქვათ რუკებზე?***

— ამ რუკებზე აშკარად ჩანს, რომ სოხუმი, ბიჭვინთა, შავიზღვისპირეთის მთელი ტერიტორია, სამიტროპოლიტო, მონასტრები, მათ შორის ბედიის მონასტერი დაფიქსირებულია, როგორც ფრანგულ, ისე ჰოლანდიურ ენებზე. ჩვენი სურვილია, ეს მასალები რაც შეიძლება სწრაფად შემოვიდეს სამეცნიერო განხილვებში. წინასწარი მონაცემებით, როგორც რუკები, ისე წერილები საინტერესო შენაძენია და ის გაამდიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიას.

**დავით მუსხელიშვილი, ისტორიკოსი, აკადემიკოსი:**

— მე რუკები არ შემისწავლია, მხოლოდ გაკვრით მაქვს ნანახი, მაგრამ პირველადი დათვალიერებით ჩანს, რომ საინტერესო რუკებია, მაგრამ, საბოლოო ჯამში, რა ღირებულება შეიძლება მას ჰქონდეს ჩვენი ქვეყნისთვის, ეს მისი ძირფესვიანად შესწავლის შემდეგ გახდება ცნობილი. რასაკვირველია, იმთავითვე გარკვეული ღირებულების, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ, რამდენად რეალურად არის ასახული სიტუაცია, ამას სერიოზული ანალიზი სჭირდება.

***— რამდენად წარმოაჩენს საქართველოს ევროპასთან ურთიერთობას?***

— რა თქმა უნდა, წარმოაჩენს. ერთი შეხედვით, ჩანს, რომ უჩვეულო რუკებია. საქართველოს იმ საუკუნეების რუკები არსებობს, რომლებიც ცნობილია, მე ვგულისხმობ ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით გაკეთებულ ფრანგულ რუკებს. ეს რუკები ცნობილია, მაგრამ ჰოლანდიაში აღმოჩენილი რუკები სრულიად განსხვავებულია, განსხვავებული მოხაზულობისა და განსხვავებული დატვირთვისაა. უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ რუკაზე შავი ზღვის სანაპიროა გამოსახული, დატანილია მაშინდელი ქალაქები.

***— რამდენადაც ვიცი, ამ რუკაზე აფხაზეთი, სოხუმია დატანილი...***

— დიახ, შავიზღვისპირეთია დატანილი. შესასწავლი მასალაა. თავისთავად რომ მნიშვნელოვანია, ამაზე ეჭვი არ არის. ყველა ძველი რუკა, მით უფრო ევროპული, ძალიან საინტერესოა ჩვენთვის, თუნდაც იმ თვალსაზრისით, თუ რა თვალით უყურებდნენ ევროპელები საქართველოს. პირველი შთაბეჭდილებით, ვახუშტისეული რუკები არ უნდა იყოს. გასარკვევია, ვისი გაკეთებულია, ვის მიერ არის შედგენილი.

***— საქართველოს რა საზღვრებია ამ რუკებზე დაფიქსირებული?***



— მთლიანი საქართველოს რუკა კი არ არის, რუკის ფრაგმენტებია, მაგალითად, შავი ზღვის სანაპიროა ასახული. შეიძლება, მე მხოლოდ ერთი რუკის შედეგებზე ვსაუბრობ. ყოველ შემთხვევაში, საზღვრები აშკარად არ ჩანს, შავი ზღვის სანაპიროს დასახლებული პუნქტებია ასახული. აფხაზეთის, სამეგრელოსი და გურიის ტერიტორიაა დაფიქსირებული.

***— დასავლეთი საქართველოა ასახული...***

— დიახ, რაც მე ვნახე, იქ სწორედ დასავლეთი საქართველოა დაფიქსირებული. შეიძლება, აღმოსავლეთიც არის, ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან მასალა შესასწავლია.

***— ჰოლანდიელის მიერ შეიძლება იყოს შედგენილი თუ ქართველის?***

— სწორედ ეს არის გასარკვევი. მაგალითად, ფრანგული რუკები ვახუშტის მიხედვით არის შედგენილი, რომელიც ფრანგმა კარტოგრაფმა დე ლილმა შეადგინა.

***— საუბარია წერილებზეც...***

— დიახ, ჰოლანდიაში ასევე აღმოჩენილია არჩილ მეფის წერილებიც. ამ დეტალებზე საუბარი ჯერ ძალიან რთულია, რადგან მასალა შესასწავლია, მაგრამ თავისთავად ძალიან საინტერესო მასალაა და, რასაკვირველია, ღირებულია. არჩილ მეფის წერილები ლათინურ და ფრანგულ ენებზეა. ერთ-ერთი წერილი ქართულად ითარგმნა და გამოიცა კიდეც. უნდა ითქვას, რომ ეს მთელი მასალა, წერილებიც და რუკებიც, შესასწავლია სათანადოდ. ვიტსენის წიგნში ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონია შეტანილი. ეს ლექსიკონი მსოფლიოში ქართული ენის ერთ-ერთ უძველეს ლექსიკონად შეიძლება ჩაითვალოს. წიგნში ასევე მოტანილია ჰოლანდიურ-ოსური ლექსიკონი, რაც ოსების ისტორიულად საქართველოსთან მჭიდრო ასოციაციაზე მიუთითებს. ეს ჭეშმარიტება მე-17 საუკუნეში ჰოლანდიაშიც კი იცოდნენ. წიგნში აღწერილია ავტორის ურთიერთობა საქართველოს სამეფო ოჯახთან, რაც მნიშვნელოვანია და ღირებულია, სრულად არის მოტანილი არჩილ მეფის პირადი წერილის ხელნაწერი. წიგნში ასევე ავტორის, ვიტსენის უდიდესი პატივისცემაა გამოხატული ქართველებისა და საქართველოს ისტორიისადმი. წიგნი გამოქვეყნებულია ჰოლანდიურ და ქართულ ენებზე. ნიკოლას ვიტსენმა შეკრიბა ისტორიული და ტოპოგრაფიული მასალა.

**გიორგი ჭეიშვილი, ისტორიკოსი:**

— ის ორი რუკა გამოქვეყნებული აქვს ცნობილ ინგლისელ მკვლევარ ალენს, რომელიც ინტენსიურად იკვლევდა საქართველოს ისტორიას, მის პრობლემატიკას. გასული საუკუნის 50-იან წლებში, უფრო ზუსტად კი 1953 წელს გამოაქვეყნა ორი რუკის ფრაგმენტი, რომელიც დაცული იყო პეტერბურგსა და პარიზში. საუბარია 1737 წლის იმერეთის რუკაზე, რომელიც შედგენილია ტიმოთე გაბაშვილის მიერ. მან რუკები გაგზავნა მოსკოვსა და პეტერბურგში, რათა რუსეთის საიმპერატორო კარს აქტიურად გაეწია დახმარება საქართველოსთვის, მისი სამეფო-სამთავროებისთვის, რომლებიც იმყოფებოდნენ, ერთი მხრივ — ოსმალეთის, მეორე მხრივ სპარსეთის აგრესიის ქვეშ. რუსეთის საიმპერატორო კარზე ამ რუკამ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. ამავე დროს რუსეთში მოღვაწეობდა ცნობილი ფრანგი კარტოგრაფი დე ლილი, რომელიც ასევე დაინტერესდა ამ რუკებით. ამ რუკის ერთ-ერთი ასლი მან პარიზში გაიტანა. ალენის ამ სტატიის გამომზეურება და საქართველოში ჩამოტანა კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქართული კარტოგრაფიის შესწავლა, რომლის კვალიც დასაძებნია როგორც რუსეთის, ისე ევროპის არქივებში.

## საჩხერის რაიონიდან ოკუპანტებმა კიდევ რვა მოქალაქე გაიტაცეს

საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულიდან რვა ადამიანი გაიტაცეს. ამასთან, ისევ გაურკვეველია გუშინწინ დაკავებული ორი მოქალაქის ბედი. ოკუპანტებმა ვასილ კილაძე და რომან ლომიძე იმ დროს გაიტაცეს, როცა ჯონჯოლის საკრეფად, საოკუპაციო ხაზის მახლობლად იმყოფებოდნენ. სავარუდოდ, გატაცებულები ე.წ. საზღვის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს. ბოლო პერიოდში, საჩხერის რაიონიდან 20-მდე ადგილობრივია გატაცებული.

**ნიუსპრესი**

## ალექსანდრე ჭიკაიძე: რუსთავი 2“-ის თანამშრომლობის თვალთვალთან დაკავშირებით ყველაფერს გამოძიება დაადგენს



შს მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებით, ტელეკომპანია „რუსთავი2“-ში აღმოჩენილ სათვალთვალო კამერებთან დაკავშირებით, პროკურატურამ გამოძიება უკვე დაიწყო და ყველაფერს სწორედ გამოძიება დაადგენს.

„ამაზე პროკურატურამ გამოძიება დაიწყო და გამოძიება რაც შეიძლება მალე დაადგენს ყველაფერს. ასეთი ფაქტი მოხდა და ადამიანი, რომელმაც ასეთი უკანონობა ჩაიდინა დაისჯება“, — აცხადებს ჭიკაიძე.

რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „რუსთავი2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ შსს-დან გამოჟონა ინფორმაციამ და ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას მიაწოდეს ვიდეო მასალა, სადაც ნიკა გვარამიასა და „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსის ნინო შუბლაძის პირადი საუბრებია ასახული. გვარამიას ინფორმაციით, ჩანაწერი გასული წლის ივნისშია გადაღებული.

**ნიუსპრესი**

## ტრეფიკინგისა და არასრულწლოვნით ვაჭრობის ფაქტზე ყირგიზეთის მოქალაქე დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ტრეფიკინგისა და არასრულწლოვნით ვაჭრობის ბრალდებით ყირგიზეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1980 წელს დაბადებული ნასიბახონ ა. ბათუმში დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2013 წლის 15 მაისს ყირგიზეთის რესპუბლიკიდან საქართველოში 1996 წელს დაბადებული ულუგბუ ა. და 1979 წელს დაბადებული გულსანამ მ. ჩამოიყვანა. ნასიბახონ ა-მ ორივე პირს პასპორტები ჩამოართვა, თავისუფლად გადაადგილების უფლება შეუზღუდა, შანტაჟით, ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარითა და ფიზიკური ანგარიშსწორებით, პროსტიტუციაში იძულებით ჩააბა და ერთი წლის განმავლობაში მათ მიერ გამომუშავებულ თანხებს მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებდა.

გამოძიება ტრეფიკინგისა და არასრულწლოვნით ვაჭრობის ფაქტზე მიმდინარეობს — საქართველოს სსკ-ის 143-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 143-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 143-ე პრიმა-ორი მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 143-ე პრიმა-ორი მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუქნტებით.

**ნიუსპრესი**

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: ყოფილი ხელისუფლება ენდია-ის პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს“



კოალიცია „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატის დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს. ამის შესახებ ლორთქიფანიძემ ენდია-ის კვლევის შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნა.

„კვლევებს, მე კი არა, თავად ხელისუფლებაც არ ენდობა. ყოფილი ხელისუფლების მიმართ ენდიაის პირდაპირ გამოხატავს ლობისტურ ორგანიზაციად ყოფნის სურვილს“— აცხადებს ლორთქიფანიძე.

მისივე თქმით, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და სამარცხვინო პრეცედენტია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია ქმნის.

დიმიტრი ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ კვლევებს არანაირი საერთო არ აქვს რეალობასთან.

„ვთვლი, რომ ეს კვლევა დანაშაულებრივია, რადგანაც შეკითხვაში საერთოდ არ ასახავს უკვე წარმოდგენილი კონკრეტული სუბიექტის ჩართვის საკითხს. მე ამ შემთხვევაში ვგულისხმობ თბილისის მერობის კანდიდატებთან დაკავშირებულ საკითხს, სადაც საერთოდ არ ფიგურირებს ჩემი გვარი“— აცხადებს თბილისის მერობის კანდიდატი.

მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატი ნიკა მელია საზოგადოებას აბსურდულ დაპირებებს აძლევს.

„ეს დაპირებები ჩვენ გვესმის ბოლო 10 წლის განმავლობაში და არავითარი ასახვა ამ დაპირებებს პრაქტიკულ ცხოვრებაში არ მოჰყოლია. ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს. დროა, დამთავრდეს მატყუარა რეჟიმებთან საზოგადოების ურთიერთობა და დროა, დავიწყოთ ახალი ეპოქალური ცვლილებებისათვის მზადება,“ — დასძენს ლორთქიფანიძე.

ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გუშინ გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც პოლიტიკურ პარტიებს შორის კოალიცია „ქართული ოცნება“ ლიდერობს. კვლევის თანახმად, კოალიცია „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ მერობის კანდიდატი 9%-ით მესამე ადგილს იკავებს, თუმცა მერობის კანდიდატის სახელი და გვარი მითითებული არ არის.

**ნიუსპრესი**

## ეკლესიის თაღის ჩამონგრევის მიზეზების დადგენაზე საპატრიარქოს კომისიაც იმუშავებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის განცხადებით, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში მშენებარე ეკლესიის თაღის ჩამონგრევის მიზეზების დადგენაზე საპატრიარქოს მხრიდან შექმნილი კომისიაც იმუშავებს.

პატრიარქის თქმით, ეს მეტად მძიმე შემთხვევაა და მისი მიზეზები, აუცილებლად, დროულად უნდა დადგინდეს. „გულითად თანაგრძნობას ვუცხადებთ მამუკა მიქელაძისა და თორნიკე მახარაძის ოჯახებს. დიდია მშობლებისა და ახლობლების გულისტკივილი მომხდარის გამო, მაგრამ მინდა მათაც ვუთხრა და ყველას გასაგონად კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ სიცოცხლე არ მთავრდება გარდაცვალებით, რომ სული უკვდავია და იგი იწყებს ახალ მარადიულ ცხოვრებას“ — ვკითხულობთ უწმინდესის განცხადებაში.

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში მშენებარე ეკლესიის თაღი 7 მაისს ჩამოინგრა. ნგრევის შედეგად, ორი ახალგაზრდა გარდაიცვალა, ხოლო ორი დაშავდა.

**ნიუსპრესი**

# რომან გოცირიძე: ბიზნესის დატერორება გრძელდება“

შორენა კოწოწაშვილი



კვლავ გრძელდება საარჩევნო სუბიექტების ანონიმურად დაფინანსების ძველი, მანკიერი პრაქტიკა. ამაზე, როგორც ჩანს, არც ხელისუფლების შეცვლას მოუხდენია რაიმე გავლენა. სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ ქონების აღდგენად არის გამოცხადებული, არადა, ყველანაირი სამართლიანობის საფუძველი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებია. სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ინფორმაციები ადგილობრივი არჩევნების დამფინანსებლების შესახებ. სინამდვილეში ეს ბლეფია. ვითომ პარტიის წევრები დებენ ფულს, ნამდვილი სპონსორები კი კვლავ ჩრდილში არიან დამალული.

**ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ „ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძეს.**

***— ბატონო რომან, რატომ არიდებენ თავს პარტიების რეალური სპონსორები ღიად გამოჩენას და არის თუ არა ეს ხელისუფლების მხრიდან უკანონობის წახალისება?***

— ის, რაც ახლა ხდება, არის იმ უკანონობის გაგრძელება, რაც დამოუკიდებლობის დროინდელ საქართველოში არსებობს. ამას ყველა პარტია ჩადის და ყველა გამოდის დამნაშავე. ეს არის ხელისუფლების ბრალი. პარტიებს ეშინიათ ფინანსების ლეგალიზების. ეს დამფინანსებელ ბიზნესმენთა მოთხოვნაა მოსალოდნელი რეპრესიების თავიდან ასაცილებლად. შევარდნაძის დროს ბიზნესმენების მიერ ხელზე მოცემული ფული პარტიის ბუღალტერიაში ფორმდებოდა, როგორც დეპუტატობის კანდიდატების მიერ შენატანი თანხა. სხვა გამოსავალი არ იყო. ვინ გაბედავდა ღიად საკუთარი ვინაობის გამხელას. მის შემდეგაც ასე ხდებოდა და ახლაც იგივეა. დრო გადის, ხელისუფლება იცვლება, უკანონობა კი რჩება. ესაა ყველაზე დიდი ნიშანი ქვეყანაში პოლიტიკური კორუფციის არსებობისა. ესაა ნიშანი იმისა, რომ ბიზნესი შეშინებულია, რომ კანონიერი ქველმოქმედება დასჯადია, რომ ოპოზიციის ღია მხარდაჭერა იკრძალება. საბოლოო ჯამში, ეს არჩევნების არადემოკრატიულობაზე მიუთითებს. თუ საარჩევნო სუბიექტები არ იქნებიან თანაბარ მდგომარეობაში, განსაკუთრებით უსაფრთხოდ დაფინანსების მხრივ, ასეთი არჩევნები ვერ იქნება სამართლიანი, თავისუფალი და გამჭვირვალე.

***— თუ ოპოზიციის დაფინანსება საფრთხის შემცველად შეიძლება იქნეს აღქმული, რატომ ასაიდუმლოებს უმრავლესობა დაფინანსების წყაროს? ხომ მათ ხელშია რეპრესიული აპარატი. რატომ არ მოქმედებენ ამ შემთხვევაში მაინც ღიად ბიზნესმენები?***

— ეშინიათ ხვალინდელი დღის. დღევანდელი ხელისუფლება არის ხვალინდელი ოპოზიცია. ესაა პოლიტიკური ანბანი. მეწარმეებს აქვთ მომავალში შურისძიების შიში. ხელისუფლებაა ვალდებული, მოსპოს შიშიც და უკანონობაც. ამ მექანიზმის შენარჩუნება და სათავისოდ გამოყენება, ჯერ ერთი, უკანონობას უწყობს ხელს, მეორეც — ნერგავს უნდობლობასა და შიშს. გამოდის, სახელისუფლებო პარტიის დაფინანსებაც საშიში ყოფილა. ვინც შემდეგ მოვა ხელისუფლებაში, იგი თურმე ცუდად გაუხსენებს ფულის მიმცემს წასული მმართველი გუნდისადმი ერთგულებას.

***— გამოდის, მახინჯი წრეა შეკრული. თანაც, მგონი, ეს ყველას აწყობს. რომელმა სახელმწიფო ინსტიტუტმა უნდა ითავოს ამის დაძლევა?***

— სწორედ ასეთი საკითხებია პრეზიდენტის, როგორც დემოკრატიის დაცვის გარანტის პრეროგატივა. მას არ აქვს გამოკვეთილი პარტიული ინტერესი, არ არის პარტიის ლიდერი. ის უნდა გამოდიოდეს საარჩევნო კორუფციის წინააღმდეგ. რატომ აწყობს ბევრს ეს სისტემა და გაჩუმებულია? იმიტომ, რომ ზოგი „შავ ფულს“ იღებს, ზოგი რუსეთიდან ფინანსდება, ვითომ ქართველი ბიზნესმენების მიერ, სინამდვილეში ეს რუსეთის ხელისუფლების ფულია. როგორც ყირიმში იყვნენ ე.წ. მწვანე კაცუნები მათი, მაგრამ ვითომ არამათი, ასეა აქაც. ქართული წარმოშობის ყველა პოლიტიკურად აქტიური რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი რუსეთის გავლენის აგენტია ან ნამდვილი აგენტი. ისინი ამით შოულობენ ფულს. რუსეთის ინტერესების საქართველოში გატარებისთვის აძლევენ სასათბურე პირობებს. საქართველო მათთვის მხოლოდ ბიზნესია. სამშობლოს ძახილი და პათეტიკა მხოლოდ შირმაა. უნდა ვინმეს მათი ფულის გამოჩენა? ამიტომ მათაც აწყობთ არსებული დანაშაულებრივი სისტემის შენარჩუნება. აუცილებლად უნდა მოუწოდოს პრეზიდენტმა, პარლამენტის თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა საზოგადოებას, ბიზნესის პოლიტიკური ქველმოქმედებისკენ. რა თქმა უნდა, იმ კანონის ფარგლებში, რომელიც დღეს მოქმედებს. ყველაფერი ბიუჯეტზე რომ არის აკიდებული, პარტიების დაფინანსებაც, განა ეს კარგია?! როცა პარტიების დაფინანსების ჯანსაღი წესი დამკვიდრდება, არც ბიუჯეტს მოუწევს მისთვის ასეთი არადამახასიათებელი ხარჯების გაწევა. შეგვიძლია თამამად ვთქვათ: პარტიის ყველა ლიდერი და ხელისუფლების მთავარი პოლიტიკური პირები შეგნებულად მონაწილეობენ პოლიტიკურ კორუფციაში. ზოგი მსხვერპლის, ზოგიც ჯალათის სტატუსით, რაღაც პერიოდში კი როლებს ცვლიან. პარტიებზე ჩვენი მილიონები იხარჯება ბიუჯეტიდან. ხალხს უფლება აქვს, მოიკითხოს, თუ რატომ და რა მიზნით იხარჯება მათ მიერ სიმწრით გამომუშავებული თანხები.

***— ბატონო რომან, დაფინანსების ეს მანკიერი მექანიზმი ადგილობრივ არჩევნებზე გამომზეურდა თუ საპარლამენტოშიც იყო ჩვეულებისამებრ გამოყენებული?***

— რა თქმა უნდა, საპრეზიდენტო არჩევნებზეც. ერთ მაგალითს მოგიყვანთ: საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრესაში კანდიდატების ფინანსური ანგარიშები გამოქვეყნდა. ერთ-ერთის სიაში თვალი მოვკარი ნაცნობი პიროვნების გვარს, რომელსაც თურმე 40 ათასი ლარი შეუტანია საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად ერთ-ერთი არასახელისუფლებო, ასე თუ ისე რეიტინგული კანდიდატის დასაფინანსებლად. იგი გაქცეული იყო საქართველოდან „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და ცხრა წელი რუსეთში იმალებოდა. ახლობელთან შემთხვევით შევხვდი, ახალი ჩამოსული იყო ამნისტიის შემდეგ. მოგვიყვა, თუ რგორ გაატარა ეს წლები მშიერმა და მწყურვალმა. მას, რა თქმა უნდა, ეს თანხა არ ეკუთვნოდა. როცა მეწარმეები ერიდებიან კანონით მინიჭებული უფლების ფარგლებში საარჩევნოდ გაწეული ხარჯების ლეგალიზებას, როცა ეშინიათ რეპრესიების ხელისუფლების მხრიდან, როცა ასეთი ხარჯები არის გაუმჭვირვალე, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს ბიზნესზე პოლიტიკური წნეხი. ეს უკვე საარჩევნო პროცესის არაადემოკრატიულობის მაჩვენებელიცაა. სანამ მოქმედებს შიშის ფაქტორი, სანამ სახელისუფლებო ძალების ღია თუ ფარული დაფინანსება არის წახალისებადი, ოპოზიციის კი დასჯადი, არჩევნები ვერ იქნება თავისუფალი და სამართლიანი. ხელისუფლების რეპრესიული ძალაუფლების პოლიტიკურად გამოყენების და ბიზნესზე ზეწოლის კიდევ ერთი ნიშანია საპარლამენტო ცხოვრებაში დამკვიდრებული მახინჯი ტრადიცია, როცა არჩევნების შემდეგ ბიზნესიდან მოსული ადამიანები ტოვებენ უმცირესობაში გადადიან. ასეთ გასტროლიორ დეპუტატებს ყველა კარგად იცნობს. ეს იმის მანიშნებელია, რომ ბიზნესი განიცდის წნეხს, რომ ფულის შოვნა უფრო ადვილია, თუ მეგობრობ ხელისუფლებასთან, ხან მეტად დაცული შემოწმებებისგან და პრივილეგირებული სახელმწიფო შეკვეთის მიღებაში (ამას მარტივად კორუფცია ჰქვია). პოლიტიკური მოღალატეობა ჩვენთან ტრადიციად იქცა და წახალისებულიცაა. სანამ ასეთი რამ იარსებებს, საქართველოში მუდამ იქნება უსამართლობა. ყოველი არჩევნების შემდეგ სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგი გახდება აქტუალური ახალი ხელისუფლებისათვის. ეს კი გაუთავებელი რეპრესიებისა და შურისძიების წყარო იქნება. რომ არ უნდოდეთ, მაინც მოანდომებენ, რადგან, როგორც იტყვიან, ხმა ერისა, ხმა ღმრთისაო.

## ირაკლი ღარიბაშვილი ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ულოცავს



პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილის მოქალაქეებს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ულოცავს. „განსაკუთრებული პატივისცემით ვულოცავ გამარჯვების დღეს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, ჩვენს სახელოვან ვეტერანებს“ — აცხადებს პრემიერი.

მისი თქმით, 9 მაისი ყველა იმ ადამიანის გამარჯვების დღეა, ვინც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოლა; ეს იმ გმირების დღეა, რომლებმაც თავი დადეს ამ ბრძოლაში და მათი, ვინც გამარჯვებული დაბრუნდა სამშობლოში. პრემიერის თქმით, ამ ადამიანებმა თავიანთი სიცოცხლისა და უდიდესი თავგანწირვის ფასად, კაცობრიობა ფაშიზმისაგან იხსნეს.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, საამაყოა, რომ საქართველომ უდიდესი წვლილი შეიტანა ფაშიზმის დამარცხებაში.

„მინდა პატივი მივაგო გმირებს — ცოცხლებსა და დაღუპულებს, ცნობილებსა და უცნობებს, რომელთა საფლავებიც საქართველოდან შორს, უცხო მიწაზე დარჩა. ქედს ვიხრი მათი ხსოვნისა და უკვდავი სახელების წინაშე. კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ ყველას ფაშიზმზე გამარჯვების დღე, ჩვენს სახელოვან ვეტერანებს კი, ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა“ — ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

[illegible] და [illegible], დიეტების, ვარჯიშებისა და [illegible] გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, [illegible] ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიური. [illegible] სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და სამუდამოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შესაძლებელია [illegible]. შედეგები 100%-იანია.

ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ანა ჯოხაძე: ნუ გვაიძულებთ, ნოშრევან ნამორაძის გზას დავადგეთ!“

მარიკა მჭედლიშვილი

თუ ხელისუფლება არ დაინტერესდება უსინათლოების უმწვავესი პრობლემებით და არ აღადგენს სამართლიანობას მათთან მიმართებით, „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება“ ქუჩაში გამოვა და იძულებული იქნება, მიბაძოს ნოშრევან ნამორაძეს, რომელმაც თვითონ გადაუხადა სამაგიერო მის დამაქცევარს. ამის შესახებ უსინათლოთა საზოგადოებაში აცხადებენ. 1926 წელს დაფუძნებულ საზოგადოებას ჯგუფური თაღლითობით, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, წესდების დარღვევით და სხვა დანაშაულების გზით 1997-98 წლებში მთელი ქონება ჩამოერთვა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. საქმის გამოძიებაც მიმდინარეობდა, სასამართლო განხილვებიც, მაგრამ, ქონება ისევ თაღლითების ხელში რჩება. ერთადერთი, რისი აღსრულებაც მოხერხდა, საზოგადოების ადმინისტრირების აღდგენაა. საერთოდ, საქართველოს უსინათლოები უმძიმეს მდგომარეობაში არიან — სააკაშვილის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა მათ ყველანაირი შეღავათები გაუუქმა, ახლანდელმა მთავრობამ კი — 22-ლარიანი დახმარება. ზოგიერთი უსინათლო ქუჩაში და მეტროსადგურებში სიმღერით ირჩენს თავს ზოგიერთი — ხელგამოწვდილი დგას. არადა, საბჭოთა კავშირის დროს ისინი სპეციალურ საწარმოებში იყვნენ დასაქმებული. საზოგადოების წარმომადგენლის, ციცინო გრიგალაშვილის (იგი 27 წლის განმავლობაში მუშაობდა საზოგადოებაში) თქმით, თავის დროზე უსინათლოები დასაქმებულები იყვნენ, ხელგაწვდილი უსინათლო ძნელად წარმოსადგენი იყო. ისინი ზაფხულობითაც ისვენებდნენ და მომავლის იმედს არ კარგავდნენ.

**„ახალი თაობა“ ამ პრობლემებზე ესაუბრა „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების“ თავმჯდომარე ანა ჯოხაძეს.**

— ჩვენი ორგანიზაცია უსინათლოთა წევრობაზეა დაფუძნებული. 1997 წლამდე მისი საქმიანობა ნორმალურად მიმდინარეობდა. საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში იყო უსინათლოთა საზოგადოებები. ჩვენი საზოგადოება საუკეთესოდ ითვლებოდა ყველა პარამეტრის მიხედვით.

***— უკანონობა 1997 წელს დაიწყო?***

— მოხდა ჯგუფური თაღლითობა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, წესდების შეცვლა. სამოქალაქო კოდექსისა და წესდების დარღვევით ჩატარდა ყრილობა. სხვათა შორის, მოხდა ამის გასაჩივრება და შესაბამისად, ყრილობის გაუქმება. პირვანდელ ადმინისტრაციას დაევალა განაჩენის სისრულეში მოყვანა ანუ აღსრულება ყრილობის ახლიდან ჩატარება.

***— მაგრამ ეს ვერ მოხერხდა?***

— დიახ. მოქმედმა თავმჯდომარემ, რომელიც ახალი არჩევნების შედეგადაც თავმჯდომარე იყო, მეათე მოწვევის ადმინისტრაციას არ ჩაატარებინა ყრილობა. მან სასამართლო გადაწყვეტილება არ შეასრულა. ყრილობა გაიმართა გაუქმებული ადმინისტრაციით. შემდგომში მანვე საკასაციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რათა გაეუქმებინათ გადაწყვეტილება, მაგრამ, სასამართლომ სრულიად საფუძვლიანად სარჩელი არ დააკმაყოფილა. აღსრულების ფურცელი გამოწერილი იყო და დაიწყო აღსრულება.

***— ასეთი დარღვევები, ალბათ, საჭირო იყო საზოგადოების ქონების ჩასაგდებად...***

— დიახ. საუბარია ათეულობით მილიონის ქონებაზე. შენობებზე, მიწის ნაკვეთებზე მთელი საქართველოს მასშტაბით. მარტო თბილისში 153 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი. „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების“ ფონიჭალის აუთვისებელი მიწა 72 ათასი კვადრატულ მეტრზე იშლებოდა. წარმოიდგინეთ, ფონიჭალის გაუდაბურებული ნაკვეთი უსინათლოებს ბოლშევიკმა მიქოიანმა აჩუქა. უსინათლოების და-



ულავი შრომით მოხდა მათი ათვისება.

***— 1997 წელს კიდევ რა მოხდა?***

— სააღსრულებო პერიოდში მოხდა ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღება. კოდექსის თანახმად, არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციებს ავალებდა, რომ ყოფილიყვნენ კავშირის, ან ფონდის სახელწოდებით. უკვე დაფუძნებულებს ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაევლოთ. ახლები ფონდისა და კავშირის სახელით უნდა დაფუძნებულიყვნენ ამ კავშირის და ფონდის სახელით. თაღლითურმა ჯგუფმა კავშირად გადააკეთა საზოგადოება, ანუ საზოგადოების სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა კავშირი და თავის ბალანსზე გადაიტანა საზოგადოების ქონება, რომელიც საზოგადოების თითოეულ წევრს ეკუთვნოდა. ამ თაღლითებმა დაიწყეს ამ ქონების არა მართვა, არამედ, განკარგვა. საქართველოს მასშტაბით ეს იყო თითქმის 200-მილიონიანი ქონება. უსინათლოები საწარმოებში შრომობდნენ და მათ საწარმოებს დიდი შემოსავლები ჰქონდათ.

***— ახლა უსინათლოები საერთოდ არ არიან დასაქმებულები?***

— რა თქმა უნდა, არ არიან.

***— ანუ კუთვნილი ქონების დაბრუნების გარდა, უსინათლოებს სოციალური პრობლემებიც აწუხებთ?***

— ჩვენ უმძიმეს დღეში ვართ. წინა ხელისუფლების მინისტრმა ჭიპაშვილმა ყველა შეღავათი გაგვიუქმა. ამის გამო დიდი აქცია გავმართეთ. მერე თბილისის მერიის სოციალური სამსახურის უფროსის, მამუკა ქაცარავასა და მისი სხვა თანამშრომლების ჩარევით დედაქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობა აღგვიდგა. ამ ხელისუფლების დროს, იმ მოტივით, რომ პენსია 150-ლარამდე გაიზარდა, 22-ლარიანი დახმარება მოგვიხსნეს. რატომ? არავინ აგვიხსნა. უსინათლოებს მსოფლიოში ყველგან აქვთ სერიოზული შეღავათები, დახმარება და ყურადღება. მათ ქონებას არავინ ანიავებს, პირიქით, ყველგან ელოლიავებიან. ერთადერთი, ვინც ბოლო წლებში ჩვენ მიმართ ყურადღება გამოიჩინა, მამუკა ქაცარავას სამსახური იყო. სხვები საერთოდ არაფრად გვთვლიან. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომლის იმედიც გვაქვს, 2014 წელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წლად გამოაცხადა. ამისთვის მადლობა. მაგრამ ჩვენ მათ რიცხვში არ შევდივართ?

***— რატომ გგონიათ, რომ არ შედიხართ?***

— იმიტომ რომ ჩვენ საერთოდ არ გვახსენებენ. როცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე საუბრობენ, რატომღაც მარტო ეტლებსა და პანდუსებს ახსენებენ. უსინათლოები არავის ახსოვს. „საქართველოს უსინათლოთა უფლებების დაცვის ასოციაციის“ აღმასრულებელმა მდივანმა თამარ ჭანკვეტაძემ მოიძია სტატისტიკა, მაგრამ, ამაოდ. საპასუხოდ მივიღეთ მონაცემები ხელჯოხიანი უსინათლო ბენეფიციარების შესახებ. ეტყობა, არ აწყობთ ჩვენზე სტატისტიკის გამოქვეყნება. არანაირი პირობები ჩვენ არ გვაქვს. დიდ დარტყმას გვაყენებენ იმითაც, რომ რომ „ლიბერთი ბანკი“ აპირებს, საბანკომატო სისტემაზე გადავიდეს. შეიძლება ეს სხვისთვის პრობლემა არ არის, მაგრამ, უსინათლომ რა ქნას? ძალადობას ვგმობთ, თუმცა, ამდენი უსამართლობის შემხედვარე ნოშრევან ნამორაძის საქციელს გაგებით ვეკიდებით. თუ უკიდურეს ზომამდე მიგვიყვანენ, შეიძლება ჩვენი უფლებები ჩვენ თვითონ დავიცვათ. ჩვენ პოლიტიკაშიც ვერკვევით, არც განათლება გვაკლია. აქ მინდა ვახსენო უდიდესი მოაზროვნე, უსინათლო ანზორ მღვდელაძე. ეს დიდი, განათლებული ადამიანი, საუბედუროდ, დავკარგეთ. ასე რომ, განათლებაც გვაქვს, ბრძოლაც შეგვიძლია, მაგრამ, ჯერჯერობით, არჩევნების წინ თავს ვიკავებთ. თან, ჯერ არ დაგვიკარგავს ირაკლი ღარიბაშვილის იმედი. მივმართავთ პრემიერ-მინისტრს, ფინანსთა მინისტრს, მოგვხედონ, ყურადღება მიაქციონ ჩვენს საქმეს. ჩვენი საქმე ეკა ბესელიამაც შეისწავლა და უჩა ნანუაშვილმაც. სახალხო დამცველმა პასუხი მოგვწერა, საქმე პროკურატურას გადაეგზავნაო. პროკურატურამ, თავის მხრივ, ფინანსურ პოლიციას გადასცა. ჩვენ აბსოლუტურად მართლები ვართ. გვაქვს მტკიცებულებებით გამაგრებული სამართლიანი მოთხოვნები.

***— პროკურატურა თქვენს საქმეს წინა წლებშიც იძიებდა?***

— პროკურატურაში 2006 წლიდან მიმდინარეობს გამოძიება. კახა მაჭავარიანი საქმეს გულისხმიერად მოეკიდა. მან გააკეთა ის, რაც შეძლო. მაგრამ, თაღლითების მფარველებმა ყველაფერი ჩაშალეს.

***— როგორც ვიცი, „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას“ არაერთი მოწინააღმდეგე ჰყავს, მის ქონებას კი არაერთი დამტაცებელი...***

— თავიდანვე ჩვენ წინააღმდეგობაში ჩაგვიდგა „ინვალიდთა ლიგა“, რომელიც შევარდნაძის დროს შეიქმნა. ეს ორგანიზაცია იღებს გრანტებს, რომელიც, წესით, ჩვენ გვეკუთვნის. წინა წლებში გამოძიება ბოლომდე ვერ მივიდა. ქონების დამტაცებლებს მფარველობდნენ სასამართლოს სისტემაში — კოტე კუბლაშვილი, პროკურატურაში — ზაზა ქაჩიბაია, შსს-ში — ვანო მერაბიშვილი. „ინვალიდთა ლიგამ“ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში საბჭო ჩამოაყალიბეს. 1998 წლიდან მოყოლებული, ეს ორგანიზაცია ბიუჯეტიდან დიდ თანხებს იღებს. არაუფლებამოსილმა პირებმა ბევრი უკანონობა ჩაიდინეს.

***— უსინათლოები არ ფინანსდებიან?***

— არც ერთი თეთრით.

***— ვინ არიან ის უსინათლოები, რომლებიც თაღლითობასა და საზოგადოების ქონების მითვისებაში მონაწილეობდნენ?***

— მაისურაძე, ჭუმბურიძე, ლობჟანიძე, გოგოლაძე და სხვები. აქედან მხედველი მარტო ალბერტ გოგოლაძეა. გიორგი ჭუმბურიძე 1992 წელს არჩეული თავმჯდომარე იყო. 1997 წელს რომ ყრილობა ჩატარდა მთელი რიგი დარღვევებით, ისევ ჭუმბურიძე აირჩიეს თავმჯდომარედ. რევაზ მაისურაძე ყველას არწმუნებდა, მერაბიშვილი ჩემი მამიდაშვილია, თითსაც ვერავინ დამადებსო.

***— მართლა ნათესავია?***

— ნათესავია თუ არა, ამის გადამოწმება ძნელია. თანასოფლელები კი იყვნენ. ხომ გახსოვთ, ვანო მერაბიშვილი ლევან მაისურაძის პასპორტით რომ დააფიქსირეს, ლევან მაისურაძე იმ რევაზ მაისურაძის შვილი იყო და დაიღუპა.

***— ყური მოვკარი ინფორმაციას, რომ უსინათლოთა საზოგადოებას დაუბრუნეს ნაკვეთები.***

— ეს არ შეესაბამება სინამდვილეს.

***— რევაზ მაისურაძე ერთხელ უცნაურ ამბავშიც გაეხვია?***

— 2006 წელს ყრილობაზე (მე საზოგადოებაში 2002 წელს გავწევრიანდი და მაშინ რიგითი წევრი ვიყავი) დიდი დაპირისპირება მოხდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ თავმჯდომარეს, რევაზ მაისურაძეს, კათედრა თავზე ჩამოაცვეს. ყრილობა გადაიდო და რამდენიმე თვის შემდეგ ჩატარდა. სხვათა შორის, უსინათლოების ვალი თბილისის მერიასაც აქვს. ამას მერიაში მუშაობისას მივაკვლიე. მერია საზოგადოებასთან ერთად აშენებდა საცხოვრებელ სახლებს უსინათლოებისთვის.

***— მერაბიშვილი აღარ არის. ახლანდელებიც არ გაქცევენ ყურადღებას?***

— კბილაშვილსაც ვაჩვენე დოკუმენტები. სხვათა შორის, ჩვენი მოწინააღმდეგეების ადვოკატი თავის დროზე იყო არჩილ კბილაშვილი. მან აღიარა, რომ შეცდა, როცა ამ თაღლითებს იცავდა. როგორც ვთქვი, ჩვენი საზოგადოების ქონებით ეს ხალხი „ინვალიდთა ლიგის“ დაფუძნებაში მონაწილეობდა. ჯერჯერობით ვერანაირ ძვრას ვერ ვხედავთ. მოვუწოდებთ პრემიერ-მინისტრს, დაგვეხმაროს, რომ აღდგეს სამართლიანობა უსინათლოების მიმართ, დასრულდეს გამოძიება, დაგვიბრუნდეს საზოგადოების კუთვნილი ქონება და კუთვნილი დაფინანსება. ჩვენ ყველა მტკიცებულება გვაქვს, რომ ამ დღეში რამდენიმე უზნეო კაცის თაღლითობისა და მათი მფარველების გამო აღმოვჩნდით. თუ სამართალს ვერ მივაღწიეთ, სერიოზულ ბრძოლას დავიწყებთ და იძულებული ვიქნებით, ნოშრევან ნამორაძის გზას გავყვეთ. მაშინ გაიგებს მსოფლიო, რა დღეში ვართ უსინათლოები, რომლებზეც მთელ მსოფლიოში ზრუნავენ.

## პროკურატურამ „რუსთავი-2“-ის საქმეზე შუალედური შედეგები გამოაქვეყნა

მთავარმა პროკურატურამ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის საქმეზე შუალედური შედეგები გამოაქვეყნა. როგორც პროკურატურაში დღეს გამართულ ბრიფინგზე აღინიშნა, „რუსთავი 2“-ში პირადი საუბრების შესაძლო ჩაწერა-მიყურადების ფაქტზე 2014 წლის 6 მაისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით დაიწყო.

„2014 წლის 8 მაისს მთავარ პროკურატურას ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა თეიმურაზ კოვზიაშვილმა მიმართა, რომლის განცხადებითაც, იგი სამსახურიდან 7 მაისს, გამოძიების დაწყებიდან მეორე დღეს გაათავისუფლეს, მან გამოძიებას მისცა ჩვენება და მიაწოდა ტელეკომპანიაში არსებული უსაფრთხოების სათვალთვალო კამერების 2012 წლის 21 დეკემბრის ჩანაწერები, სადაც ნათლად ჩანს, რომ 2012 წლის 21 დეკემბერს ტელეკომპანიაში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ. ისინი დროის გარკვეულ მონაკვეთში სპეციალური აპარატურის გამოყენებით აწარმოებდნენ ტექნიკურ სამუშაოებს, მათ შორის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები, ლითონის გასაშლელი კიბის თანხლებით სამუშაოებს აწარმოებდნენ ნიკა გვარამიას და ნინო შუბლაძის სამუშაო ოთახებშიც, რამაც მასში ეჭვი გამოიწვია, ვინაიდან აღნიშნულის შესახებ მან, როგორც უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა არაფერი იცოდა.

მისივე ჩვენებით, ამ დღის შემდეგ იგი დაინტერესდა ხსენებული პირების ვიზიტის შედეგებით, რა დროსაც ტელეკომპანიის ერთ-ერთი სამუშაო კაბინეტის ჭერში აღმოაჩინა ფარული აუდიო-ვიდეო მოწყობილობის მონტაჟის კვალი. აღნიშნულის შესახებ მან დაუყონებლივ აცნობა ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას, რომელსაც ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ ამ საკითხზე არ ენერვიულა, ჩვეულ რეჟიმში გაეგრძელებინა საკუთარი სამსახურებრივი საქმიანობა და ზედმეტი ინიციატივები არ გამოეჩინა. ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების შემდეგ, მან სცადა ნიკოლოზ გვარამიასთან გასაუბრება, რასაც ვერ მიაღწია და შედეგად გაათავისუფლეს თანამდებობიდან და დაატოვებინეს სამუშაო ოთახი“, — აღინიშნა ბრიფინგზე.

ამავე ცნობით, სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია, რომელმაც გამოძიებას უარი განუცხადა, მის მიერ განსაჯაროებული ფარული ჩანაწერების წყარო დაესახელებინა, რაც გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი დეტალი იყო.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად პროკურატურაში ინტენსიური გამოძიება გრძელდება, რომლის მიმდინარეობის შესახებ საზოგადოება ეტაპობრივად იქნება ინფორმირებული.

პროკურატურამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის მიერ მოწოდებული სათვალთავლო კამერის მიერ დაფიქსირებული მნიშვნელოვანი ვიდეო– კადრები და მოწმეთა ჩვენებებიც გაასაჯაროვა, რომელიც ჟურნალისტებს ბრიფინგის დასრულებისას გადაეცათ.

მედიანიუსი

## გიორგი მარგველაშვილი: რეიტინგის დაცემა ჩემთვის აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო“

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საკუთარი რეიტინგის დაცემას ელოდა. მან ამის შესახებ ჟურნალისტებს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვის კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტის მოწონების რეიტინგი 46 პროცენტია. 2013 წლის ნოემბრის კვლევაში კი პრეზიდენტის რეიტინგი 72 პროცენტი იყო.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ივანიშვილის კრიტიკის მერე, იმ ადამიანებმა, რომლებიც მას მხარს სწორედ ყოფილი პრემიერ-მინისტრის გამო უჭერდნენ, მის მიმართ საწინააღმდეგო პოზიცია გამოხატეს.

„ჩემი რეიტინგის დაცემა ჩემთვის სრულიად მოსალოდნელი იყო. მე აქამდეც არაერთხელ მითქვამს, რომ ბიძინა ივანიშვილს დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი იმ წარმატებაში, რომელიც არჩევნებზე 62 პროცენტის სახით დამიფიქსირეს. ბუნებრივია, ბიძინას კრიტიკის შემდეგ იმ ადამიანებმა, ვინც მის გამო მიჭერდნენ მხარს, ჩემზე საწინააღმდეგო პოზიცია გამოხატეს. შესაბამისად, ეს ჩემთვის აბსოლუტურად ბუნებრივი და მისაღებიცაა“, — განუცხადა გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს.

მედიანიუსი

## გიორგი მარგველაშვილმა 26 მაისს დაგეგმილი ღონისძიებების დეტალები არ იცის

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 26 მაისს დაგეგმილი ღონისძიებების დეტალები არ იცის. მან ამის შესახებ ჟურნალისტებს იმ კითხვის პასუხად განუცხადა, თუ რატომ არ იბარებს იგი 26 მაისს სამხედრო აღლუმს, როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი.

მისი ინფორმაციით, ამ საკითხზე მთავრობასთან შეთანხმებით სპეციალური კომისია მუშაობს.

„გახსოვთ, შარშან კომისიის თავმჯდომარე ვიყავი. მაშინ დეტალებზე ინფორმირებული გახლდით და ყველაფერს გიზიარებდით, რაზეც ვმუშაობდით. ახლა კომისიის წევრი ჩემი ადმინისტრაციის უფროსი ლაშა აბაშიძეა და დეტალები ნამდვილად არ ვიცი. ამაზე კომისია მთავრობასთან შეთანხმებით მუშაობს“, — განაცხადა გიორგი მარგველშვილმა. წინასწარი ინფორმაციით, 26 მაისს სამხედრო აღლუმი არ გაიმართება.

მედიანიუსი

# ნათია თადიაშვილი: მუსიკამ გადამარჩინა!“

ეკა ირემაშვილი

ტელესივრცეში ახალი მუსიკალური პროექტი გაჩნდა. „იქს ფაქტორის“ შესარჩევმა ტურმა არაერთი ნიჭიერი მომღერალი აღმოაჩინა, მათ შორისაა ნათია თადიაშვილი, რომელმაც შესარჩევი ტურები სრული ტრიუმფით დახურა. მის მიერ შესრულებულ ბარბარა სტრეიზანდის სიმღერას მთელი დარბაზი და ჟიურის ოთხივე წევრი ფეხზე წამოუდგა. როგორც მომღერალმა „ახალ თაობას“ განუცხადა, სცენაზე დგომა მისი ბავშვობის ოცნება იყო, უკვე ორი წელია, რესტორანში „კრწანისი“ მღერის. ახლა კი „იქს ფაქტორის“ ჟიურის რჩეულიც გახდა.

***ნათია თადიაშვილი, მომღერალი:***

– რაც თავი მახსოვს, სულ ვმღერი. ბავშვობიდან სახლში ვაწყობდი პატარა სცენას და ვმღეროდი ხოლმე. კიდევ კარგი მათემატიკოსი ან ქიმიკოსი არ გამოვედი, ან ბანკში არ ვმუშაობ, თორემ ვერასდროს შევძლებდი ამ საქმის კეთებას. არც არასდროს მიფიქრია, სხვა პროფესიის ვყოფილიყავი. რაც შეეხება ჩემს სიმღერას, თავიდან ანსამბლში „მთიები“ ვმღეროდი ცოტა ხანს, ციცინო ციცქიშვილთან დავდიოდი პიონერთა სასახლეში, „მზიურშიც“ მივედი, მაგრამ რატომღაც არ ვიარე. ყველგან ცოტა ხანს ვიყავი, არ ვიცი ვერ ვჩერდებოდი დიდხანს თუ რა მჭირდა. „მთიებში“ ყოფნის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება, კონცერტებზეც გამოვდიოდი, დღემდე მიყვარს ვაჟა დურგლიშვილი, სულ ვნახულობ. ცეკვაზეც დავდიოდი, მაგრამ ყველა ეს წრე და სიამოვნება შეიწირა ფორტეპიანომ. რომ მივედი კლასიკურ ფორტეპიანოზე, იქ დამთავრდა ყველაფერი, ძალიან დიდი დრო სჭირდებოდა მეცადინეობას. დედამ არჩია, რომ ჯობდა ფორტეპიანოზე მევლო. საბოლოოდ მივიღე კლასიკური მუსიკალური განათლება, მიუხედავად იმისა, რომ ვტიროდი და ისტერიკებს ვაწყობდი, სიმღერა მინდა-მეთქი. ჟარგონულად ვიტყვი, „ლომკა“ მქონდა სიმღერის. ვოკალის მასწავლებელი არასდროს მყოლია, ვაჟა მასწავლებელი სიმღერას რომ გვასწავლიდა, იქ ხმის დიდად დამუშავება არ მიდიოდა. შეიძლება ცუდად გამომდის, მაგრამ ფაქტია.

***– თვითნასწავლი მომღერალი ხართ?***

– ასე გამოდის, თუმცა ჩემს პედაგოგებს ვეძახი უიტნი ჰიუსტონს, მერაია ქერის, დაიანა როსს, სხვადასხვა მომღერლებს, ჯგუფებს, ერთი პერიოდი „ქვინსაც“ ვუსმენდი, ჯექსონსაც, ყველა ასაკში სხვადასხვა მომღერლები და ჯგუფები მომწონდა. როცა შუქები არ იყო, ფანქრით ვახვევდი კასეტებს, ელემენტებს დავჭეჭყავდი და ასე ვისწავლე სიმღერა. სკოლიდან მუსიკალურ ათწლედში გადავედი და დავამთავრე კიდეც. ფანტასტიკურ მასწავლებლებთან ვიყავი მუსიკალურ ათწლედშიც და კონსერვატორიაშიც, დღემდე ყველა მიყვარს და ვგიჟდები მათზე. მათ მომცეს კლასიკური განათლება, რაც მერე ყველაფერში დამეხმარა, თუმცა ყველაზე დიდი მადლობა მაინც დედაჩემს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ არასდროს მდომებია პიანისტობა, დედაჩემის ხათრით დავამთავრე კონსერვატორია. ფორტეპიანოს თავთან გვედგა ტახტი, იმაზე ეძინა დედას, რომ გავჩერდებოდი, თავს აწევდა და მეტყოდა, კიდევ იმეცადინეო. იქვე ეძინა, რომ მემეცადინა, იმიტომ რომ საშინელი ყალთაბანდი და ხულიგანი ვიყავი. ვაღიარებ, რომ ვზარმაცობდი, მაგრამ დავამთავრე კონსერვატორია, თუმცა ისიც ვერ დავამთავრე, სულმა წამძლია და მესამე კურსზე გავთხოვდი.

***– სიმღერა ქმარმაც დაგიშალა?***

– სიმღერასა და სცენაზე მთელი ცხოვრება ვოცნებობდი. ნამდვილად მქონდა იმის ნიჭი, რომ სხვადასხვა კონკურსებში მიმელო მონაწილეობა, ან სიმღერა ჩამეწერა, მაგრამ ჩვენი ოჯახისთვის ეს დიდი ფუფუნება იყო. კონსერვატორიაშიც ცხადდებოდა საფორტეპიანო კონკურსები და მიდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, თავს არ ვიქებ, მაგრამ, ნამდვილად შემეძლო, ამ კონკურსებში მიმელო მონაწილეობა, თუმცა, იმის გამო, რომ ოჯახს არ ჰქონდა ფინანსური საშუალება, არსად წავსულვარ. მაშინ ცუდი დრო იყო. კურსელი მყავდა, რომელიც ახლა ინგლისში ცხოვრობს და ისიც მაშინდელი გაჭირვების გამო წავიდა საქართველოდან, ერთად დავდიოდით უშუქობაში მეტრომდე ფეხით, ყინვაში, სიცივეში და ყინულზე ვსრიალებდით.

სულ მინდოდა მემღერა, ოჯახი ყოველთვის მეუბნებოდა, გათხოვდები და სცენაზე მერე დადგებიო. ჰოდა, იმის ოცნებაში, რომ გავთხოვდები და მერე სცენაზე დავდგები-მეთქი, ავდექი და გავთხოვდი. ჩემი მეუღლე დღემდე მეუბნება, იმიტომ გათხოვდი, რომ სცენაზე გინდოდა გამოსვლაო?!

***– ხომ შეიძლებოდა ისეთი ქმარი შეგხვედროდათ, სიმღერა აეკრძალა?***

– სხვათა შორის, მეუღლემაც ამიკრძალა რალაც-რალაცები, თავისებური პროტესტი ჰქონდა. თვითონაც მუსიკოსია და ესმის რასაც ვამბობ, მაგრამ მაინც მამაკაცია და უფრო მესაკუთრეობის და ეჭვიანობის ამბავი იყო.

***– ადვილად დაითანხმეთ, რომ რესტორანში გაეშვით სამუშაოდ?***

– რომ გავთხოვდი და შეგვეძინა პირველი შვილი, დავითი, ერთ წელში დავიწყე გოგი ცაბაძის სახელობის ხელოვნების სკოლაში მუშაობა. ჩემდა გასაკვირად, თვითონ შემომთავაზეს მუშაობა, ჩემს მეუღლეს აქვს ეს სკოლა დამთავრებული და ინიციატივა მათგან წამოვიდა. დირექტორმა დამირეკა თვითონ, იცოდა, რომ სიმღერებს ვწერდი, საკმაოდ გათვითცნობიერებული ვიყავი ესტრადაში და გახსნა საესტრადო განყოფილება, სადაც პედაგოგად მიმიწვია. 12 წელი ვიმუშავე საკმაოდ წარმატებულად, საოცრად კარგი პერიოდი იყო, ძალიან ბევრი ვისწავლე და გავიზარდე როგორც პედაგოგი კი არა, როგორც მუსიკოსი და როგორც მომღერალი. ბავშვებთან მუშაობის პროცესში თვითონ ვმუშაობდი ჩემს თავზე და უდიდესი სასიმღერო სკოლა გავიარე. მიუხედავად იმისა, რომ საყვარელ საქმეს ვაკეთებდი, მაინც ძალიან ცუდად ვიყავი, სულ მინდოდა თვითონ მემღერა, დავიტანჯე მეც და დავტანჯე ჩემი ქმარიც, ადგა და თვითონვე მიშოვა სამუშაო რესტორანში. ყოველ საღამოს ვტიროდი, სიმღერა მინდოდა, სცენაზე დგომა მინდოდა, „ლომკა“ მქონდა. სახლშიც აგრესიული გავხდი, დაძაბული ვიყავი, მეუღლეს ვთხოვე და მიშოვა სამსახური. მევიოლინე ჩვენი ოჯახის მეგობარია, ერთად ვსწავლობდით კონსერვატორიაში და უკვე ორი წელია, რაც რესტორანში ვმღერი. მართლა ძალიან კარგ ხალხთან ვმუშაობ, ეს არის ჯგუფი „ქორალი“, საოცრად შევეწყვეთ ერთმანეთს და ჩვენი ტანდემი შედგა. ბევრი დუეტი გავაკეთეთ ერთად. სამწუხარო ის არის, რომ ჩანაწერი არ გვაქვს. რამდენიმემ მთხოვა შენი ალბომი გვინდაო, მაგრამ ვერ მივედი სტუდიამდე, რომ რამე ჩავწერო.

***– „იქს ფაქტორში“ რატომ მიხვედით?***

– ამ პროექტში მისვლა წინა დღეს გადავწყვიტე. კასტინგი რომ გამოცხადდა, წინა ღამეს განვუცხადე ჩემს მეუღლეს და ამას დიდი პროტესტი მოჰყვა, მაგრამ ვთქვი, ან ახლა და ან აღარასოდეს-მეთქი. ავდექი მეორე დღეს, გავქანდი, შევვარდი კასტინგზე, იმდენად ვინერვიულე, ხელი მიკანკალებდა, მიკროფონს ვერ ვაჩერებდი, ფლეშკაზე მინუს ფონოგრამა ვერ ვიპოვნე და აკაპელაზე ვიმღერე, თურმე ეს უკეთესი ყოფილა. მითხრეს, შეგეხმიანებით თვის ბოლომდეო. სამსახურში რომ მივედი, მაშინ დამირეკეს და ჩემი კივილი უნდა გენახათ, ჩემზე მაგრად ბიჭები კიოდნენ. სულ მეუბნებოდნენ, რამე პროექტში წადიო და მივედი „იქს ფაქტორში“. მამაჩემი სკეპტიკურად შეხვდა, რა გინდა გოგო, სად მიდიხარ, დაჯექი სახლში, ბავშვები გაზარდეო. ორი ბიჭი მყავს და მიმაჩნია, რომ იმ ასაკამდე არიან ჩემი შვილები, შემიძლია ბავშვობის ოცნება ავისრულო და ამასაც ჩემი შვილებისთვის ვაკეთებ.

იქ რომ ხალხი ნერვიულობდა, იქით ვამშვიდებდი, რა განერვიულებთ, მე ბედნიერი ვარ, ერთი სული მაქვს სცენაზე როდის გავალ-მეთქი. რა თქმა უნდა, ვნერვიულობდი, მაგრამ არა იმის გამო, რომ შემეშლებოდა, არამედ იმის გამო, რომ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი ამხელა აუდიტორიის წინაშე რომ უნდა გავსულიყავი. სანამ თბილისში დაიწყებოდა იქს ფაქტორი, ინტერნეტში ვნახე, რაღაცნაირად კომპლექსი მომეხსნა და იმიტომაც წავედი. საბოლოოდ გადავწყვიტე წასვლა, ალბათ, ისე არ ვიმღერებ, რომ კურიოზებში მოვხვდე, თუ არადა, ვთხოვ, რომ საერთოდ ამომჭრან-მეთქი.

***– მანამდეც იყო მუსიკალური პროექტები, რატომ არ გახვედით?***

– ჯერ იყო ჯეოსტარი, მაგრამ იქ ასაკით ყოველთვის ვუსწრებდი, სულ პატარები იყვნენ კონკურსანტები და ამან კომპლექსი გამიჩინა. „ვოისშიც“ ჩემი მოსწავლეები გავიდნენ კასტინგზე და მომერიდა, მასწავლებელი ქალი, თან 30-ს გადაცილებული, რაღაცნაირად შემრცხვა. შინაგანად 20 წლის ვარ და, ალბათ, ყოველთვის ასე ვიქნები. ქალბატონოს რომ მეტყვიან, ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებს. იყო პროექტი „პატრინოტი“, სადაც 2008 წელს ჩემი სიმღერა შეასრულა თიკა მახალდიანმა, რომელიც 40 საუკეთესო სიმღერაში მოხვდა. ზუსტად მაგ პერიოდში ომი დაიწყო და მინუს ფონოგრამა და თიკას ნამღერიც კი ვერ შევინარჩუნე.

***– სიმღერებს ახლაც წერთ?***

– სიმღერებს უფრო ვწერდი ბავშვობაში და სტუდენტობის პერიოდში. ახლა ელემენტარულად დრო არ მაქვს. სიმღერის დაწერას უნდა ჩაჯდომა, მუზა უნდა მოვიდეს, ამისთვის კი არ მცალია. ერთი ჩემი სიმღერა ჩემმა მოსწავლემ ჩაწერა და იუთუბზეც დევს, ლაითი სიმღერაა, ინგლისურენოვანი. მონახაზები ბევრი მაქვს, მაგრამ მათი ჩაწერისთვის ვერ მოვიცალე. „მთიებში“ ვაჟა დურგლიშვილი ჩემს სიმღერებს ყოველთვის აკეთებდა და დღესაც აქვს რეპერტუარში.

***– „იქს ფაქტორში“ ბარბარა სტრეიზანდის სიმღერა რატომ აირჩიეთ?***

– საერთოდ, ძალიან ვერიდები ბარბარა სტრეიზანდის სიმღერების შესრულებას, იმიტომ რომ ის არის მოვლენა, ჩემი ყველაზე დიდი მასწავლებელი. თუ მაინც გადაწყვეტ მისი სიმღერის შესრულებას, ან მისი კოპირება უნდა გააკეთო, ან უნდა მიბაძო მაინც, როგორც შეგიძლია იმ სტილში და როგორც ის მღერის. შეიძლება შეცვალო სხვა მომღერლების სიმღერები, მაგრამ ბარბარა იმდენად დახვეწილად მღერის, რომ ვერც წარმომიდგენია როგორ უნდა იმღერო სხვანაირად. თავს არ ვიქებ, ბარბარასავით არ ვმღერი, მაგრამ ვცდილობ, რომ კარგად ვიმღერო.

***– თქვენი მენტორი თამთა გოდუაძეა, მასზე რას იტყვით?***

– საოცრად კარგი ჯგუფია შეკრებილი, მართლა ერთი ოჯახივით ვართ. თამთას რაც შეეხება, სიუჟეტშიც ვთქვი, რომ ყველას ველოდებოდი თამთას გარდა. ჩვენ 25 წელს ზევით ვართ და თამთა ისეთი სელებრითია, ფიგურაა და ვარსკვლავია, მეგონა, რომ ჩვენ ბიჭებთან მოვხვდებოდით. უფრო სტეფანეზე ვფიქრობდი, გამოცდილი პროდიუსერია და კარგად დაგვამუშავებდა ამ „გადაყრუებულ“ ხალხს. რომ დავინახეთ მანქანიდან ქალის ფეხი გადმოვიდა და თანაც ფეხსაცმელი სოფოსას არ ჰგავდა, ატყდა წივილი-კივილი და მე ცოტა სახტად დავრჩი. ყველა ძალიან მაგრები არიან, მაგრამ თამთას მართლა არ ველოდებოდი. უმაღლესი პიროვნებაა, ერთხელ შეგვხვდა, პატარა წამეცადინებასავით ოხუ, ისე გასაგებად ავიხსნა ყველაფერი, დიდი



სკოლა გაგვატარა და ევროპულ შოუბიზნესში გადაგვახტუნა. ორი სიტყვით აგვიხსნა როგორ უნდა იმუშაო სცენაზე, როგორ უნდა იმღერო. თითქოს ისეთი არაფერი უთქვამს, რაც სხვისგან არ გაგვიგია, მაგრამ ისე გვითხრა, ადვილად გასაგებიც იყო და უცებ სხვანაირები გავხდით. ძალიან მაგარი ადამიანია, საოცრად თბილი, საყვარელი, უშუალო და უბრალო. საქართველოს დატოვება რომ უწევს, უცხოეთიდანაც გვეკონტაქტება როგორ მიდის სამზადისიო.

***– ნათია, არჩევანის წინაშე არ მდგარხართ, ოჯახი ან კარიერა?***

– ვიდექი ამ არჩევანის წინაშე, ან ოჯახი ან კარიერა, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. რაც გათხოვილი ვარ, ამდენი წელი იმიტომ დამჭირდა სცენაზე დავმდგარიყავი, რომ დამეძლია ოჯახში ეს პრობლემა.

***– მეუღლე მოდის რესტორანში და გისმენთ როგორც რიგითი მსმენელი?***

– როცა დრო აქვს ყოველთვის მოდის მეგობრებთან ერთად, მაგრამ მირჩევნია არ მოვიდეს. ვუშლი ხოლმე, ეს ჩემი სამსახურია და აქ კონცერტი არ არის-მეთქი.

***– როცა გადიოდით იქს ფაქტორში, მზად იყავით, რომ შეიძლება ჟიურის წევრებს არ მოსწონებოდით?***

– რა თქმა უნდა. ყველაზე მეტად პირველ ტურში ვღელავდი, ალბათ, ეს ღელვა აღარ იქნება შემდეგ ტურებში. რესტორანშიც ხომ ყოველდღე ვმღერი, მაგრამ ღელვა და პასუხისმგებლობა მაინც მაქვს. არ აქვს მნიშვნელობა რას ვიმღერებ რესტორანში, თუნდაც იყოს რუსული, რომელიც სტეფანეს ძალიან არ უყვარს, მაგრამ ხალხს მოსწონს და ვცდილობ რომ გემოვნებიანი რუსულები ვიმღერო.

***– ფანოლებსაც მღერით?***

– ფანოლებს ამას ვერ დავარქმევ, ეს არის უფრო ქალაქური სიმღერები, ნინო ჩხეიძის რამდენიმე სიმღერა. ლეილას სიმღერებს და ფანოლებს უფრო არა. რამდენჯერმე იყო შემოთავაზება ხალხისგან, მაგრამ რომ შევთავაზეთ უფრო უკეთესი, მიიღეს. რომ იციან ჩემი რეპერტუარი, მოდის ის ხალხი, ვისაც ჩემი მოსმენა უნდა და ითხოვენ იმას, რაც მაქვს რეპერტუარში, იმღერება და მოსწონთ. ეს არის უიტნი ჰიუსტონის, ბიონსეს, მერაია ქერის სიმღერები, რომელიც რესტორანში არ იმღერება, მაგრამ ჩვენი დირექტორი ამით ამაყობს, რომ ეს რეპერტუარი, რაც ჩვენს რესტორანშია, სხვაგან არ არისო. ხალხიც ამას კარგად იღებს და მეორედ იმისთვის მოდიან, რომ ეს სიმღერები მოისმინონ.

***– სხვა რესტორნებიდან და ბარებიდან არ გქონიათ შემოთავაზება?***

– ვერ დავმალავ, მოდიან სხვა ბარების და რესტორნების მეპატრონეები და მთავაზობენ მათთან გადასვლას. ძალიან შევეწყვე ამ სამუშაოს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მკაცრი დირექტორი გვყავს, მაგრამ სიმკაცრეც საჭიროა, იმიტომ რომ სულ მობილიზებულები ვართ, სულ ფორმაში ვართ.

***– სხვა მუსიკალურ კონკურსებშიც მიიღებთ მონაწილეობას?***

– ჯერ არ ვიცი, ვნახოთ „იქს ფაქტორში“ რა იქნება, მაინტერესებს ხალხი როგორ მიმიღებს. რესტორანში რომ მოდიან ის სხვაა, ფართო საზოგადოებას და მსმენელს ვგულისხმობ. ჩემი ასაკის ხალხისთვის თუ რამე იქნება, აუცილებლად ჩავერთვები. ალბათ არ უნდა ვლაპარაკობდე ასაკზე, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, 25 წლის ზევით ხალხი სამსახურს ვერ შოულობს, არათუ პროექტებში მონაწილეობს.

***– შეიცვალა დამოკიდებულება თქვენს მიმართ, რაც პოპულარული გახდით?***

– მე და ჩემი თანამშრომელი ერთად მოვდივართ ხოლმე სამსახურიდან სახლში და ყოველთვის ერთსა და იმავე მარკეტში დავდივართ. რაც ამ პროექტში გამოვჩნდი, სულ გადაჩურჩულებებია ხოლმე, ეს ის არ არისო, თან ჩემს მეგობარს ეკითხებიან. რესტორანშიც ასეა, აქ, იცით, ვინ მღერის, ტელევიზორში რომ იყოო. ნამდვილად არ დავიწყებ კეკლუცობას, სიმართლეს ვიტყვი, იმიტომაც წავედი ამ პროექტში, რომ ხალხს გავეცანი, რატომაც არა?! ზოგი კარგს იტყვის, ზოგი ცუდს იტყვის, ვიცი, რომ ყველას მოსაწონი ვერ ვიქნები. ჩემი შვილის ასაკის ბავშვს რომ რიანა მოსწონს, იმას ნათია თადიაშვილი შეიძლება არ მოეწონოს, მაგრამ მათ რეპერტუარსაც ვმღერი.

***– არის მუსიკალური მიმართულება, რომელიც არ მოგწონთ და არ გსურთ შეასრულოთ?***

– ფიზიკურად არ შემიძლია ვიმღერო რეპი ჩემი ინგლისურის ძალიან დილეტანტურ დონეზე ცოდნის გამო. ვიცი ის ინგლისური, რაც სჭირდება ტექსტებს, რომ ვიმღერო.

***– როკი?***

– როკი არ არის პრობლემა, მაგრამ როგორც წესი, ქალები არ მღერიან ფრეშ-მეტალს და მძიმე მეტალს, თორემ შეიძლება ისიც ვიმღერო, უბრალოდ იოგებს გავუფრთხილდები, რომ არ ვიყვირო. სხვა ყველაფერი მიმღერია.

***– ხმას უვლით?***

– არა, მაგრამ ახლა მოვუვლი. მართლა დაღლილი მაქვს ხმა და ვცდილობ, რომ ცოტა დავასვენო. ყოველდღე დავდივარ რესტორანში და ვმღერი მინიმუმ 4 საათის განმავლობაში. ყოფილა შემთხვევა, რომ 7-8 სიმღერა გადაბმულად მიმღერია, თუმცა ეს მაინც პოპია და ისე არ ღლის ყელს. ერთი შემთხვევა იყო, მოვიდნენ სტუმრები, ახალგაზრდა ბიჭები, გადაიხადეს ფული და ბიონსეს „ლისენ“ ვიმღერე 8-ჯერ. სულ გადაბმულად ვერ ვიმღერე, იმიტომ რომ ხალხი იყო და 2-3-ჯერ რომ შევასრულე მობეზრდათ, ამიტომ ის ბიჭები დარჩნენ, სცენის წინ დასხდნენ და ყველა რომ წავიდა, კიდევ ვიმღერე. მერე კიდევ მოვიდნენ, კიდევ მამღერეს, ბოლოს სხვა სიმღერებიც შევთავაზე და დამთანხმდნენ.

***– ასეთი შემთხვევები ხშირია?***

– მოდის ხალხი და ითხოვს ამა თუ იმ სიმღერის შესრულებას არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე. ერთხელ „ა სტუდიოს“ „პაპა, მამა“ ვიმღერე 9-ჯერ. ირინა ალეგროვას „ძენ რაჟდენია“ 11-ჯერ ვიმღერე, ბევრი დაბადების დღე იყო და ყველას ეს სიმღერა უნდოდა. მოკლედ, რაც ცხოვრებაში რუსულები არ მიმღერია, ახლა ვმღერი. სტეფანე, მაპატიე, მაგრამ მიწევს ამ რუსულების სიმღერა და რა ვქნა? ეს სულ სხვა რაღაცაა, ალბათ ესეც „იქს ფაქტორია“, რომ რუსულ სიმღერებს რესტორანში ვტოვებ და ამ პროექტში სულ სხვა რაღაც გამომაქვს. ბევრ რამეს ცვლის რესტორანი და ვცდილობ, ეს არ შემეტყოს. თუნდაც იმ „პაპა, მამას“ და სხვა რუსულ სიმღერებს რესტორნულად არ ვმღერი, ისე ვასრულებ, როგორც სცენაზე ან სტუდიაში, მართლა ბოლომდე ვიხარჯები. ორჯერ იყო ასეთი შემთხვევა: პრეტენზიული სტუმარი იყო მოსული და ჩაიციკლა ლეილას „აფრები“ უნდოდა რომ მემღერა. შეურაცხყოფას არ ვაყენებ ამ სიმღერას, არ არსებობს ადამიანი, ვისაც ამ სიმღერის მელოდია არ გაუგია და არ უცეკვია ქეიფის დროს, მაგრამ არ ჯდება ჩემში, თუმცა მომიწია სიმღერა იმის გამო, რომ საშინლად დაიძაბა სიტუაცია, რას ჰქვია, ამ სიმღერას არ მღერითო. შეურაცხყოფაზე გადმოვიდნენ და რომ არ დაგვეძაბა სიტუაცია, ვიმღერე. სულ ორჯერ მაქვს ეს სიმღერა ნამღერი და რომ იტყვიან, საკუთარ თავს გადავაბიჯე, მართლა არ მინდოდა „აფრები“ მემღერა. შეიძლება სახლში მემღერა მეგობრების წრეში პაროდიის ვარიანტში, მაგრამ სცენაზე და ხალხის წინ, თან საკმაოდ ბევრი ხალხი იყო დარბაზში, არ მქონდა სურვილი. ძალიან განვიცადე, დამცხა, ფერები გადამივიდა, სიცხემ ამიწია, მაგრამ მაინც ვიმღერე და თან ისე, როგორც შემეძლო. დიმპიტაურ რიტმში ვმღერით სიმღერებს, მაგრამ ზღვარი გვაქვს. ჩვენი დირექტორიც გემოვნებიანი ქალია და ისეთ რეპერტუარს ვარჩევთ, რომ სახინკლეს არ დავემსგავსოთ.

***– რეპერტუარს თვითონ ადგენთ?***

– რეპერტუარი დგება ხალხის ოვაციებიდან გამომდინარე. რეპერტუარში ქართული სიმღერებიც გვაქვს, ცოტა დოზით რუსულიც და უცხოურიც. შეკვეთაზე უარის თქმის უფლება არ გვაქვს, თუ ის ჩვენი რესტორნის ფორმატში ჯდება, არის სიმღერები, რომლებსაც არ ვასრულებთ.

***– მომავალში თქვენს თავს ქართულ შოუბიზნესში ხედავთ?***

– რატომაც არა?! პირველ რიგში, ჩემთვის ვმღერი, ჩემი ოცნება ასრულდა, სულ მინდა რომ ვიმღერო. ახლა ვიწყებ კარიერას, ქართული შოუბიზნესია თუ რაც არის, სიმღერა ჩემია, ჩემი სურვილით ხდება ყველაფერი, არავინ არაფერს მაძალებს. ეს არის ჩემი საზრდო, მუსიკამ გადამარჩინა, თუ ყოველდღე იქნება დიდ სცენაზე ჩემი საქმე, მზად ვარ, თუმცა ეჭვი მეპარება. ჯერ ჩემი თავი უნდა დავიმკვიდრო „იქს ფაქტორში“ და გამოვავლინო და მერე ქართულ შოუბიზნესზეც ვიფიქრებ. ჩემი მაგალითი არის დასტური იმისა, რომ ბავშვობის ოცნებების ასრულებისთვის გვიან არასოდეს არ არის.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზირებელი სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სასრებზე — ძელია მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

# ინგლისში ჩემპიონი გაირკვევა



ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.05 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 11.05 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.17 | 8.0 | 13.0 |
| 11.05 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 2.5 | 3.6 | 2.62 |
| 11.05 | ფულემი-კრ.პალასი | 2.6 | 3.4 | 2.62 |
| 11.05 | ვესტ ბრომვიჩი-სტოკი | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 11.05 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.5 | 4.4 | 6.0 |
| 11.05 | სანდერლენდი-სუონსი | 2.2 | 3.25 | 2.8 |
| 11.05 | ჰალი-ევერტონი | 3.4 | 3.6 | 2.05 |
| 11.05 | კარდიფი-ჩელსი | 6.5 | 4.75 | 1.44 |
| 11.05 | ნორვიჩი-არსენალი | 3.75 | 4.0 | 1.85 |

**ლივერპული-ნიუკასლი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ხოსე ენრიკე

ნიუკასლი: ***ტრავმ***-პაპრის სისე, დავიდე სანტონი, სემი ამეობი

**სიტი-ვესტ ჰემი**

სიტი: ***ტრავმ***-კუნ აგუერო, ხესუს ნავასი, მატია ნასტანიჩი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-მარკო ბორიელო

**საუთჰემპტონი-მანჩესტერი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-გასტონ რამირესი, ია როდრიგესი, მაია იოშიდა

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ჯონი ევანსი, ფილ ჯონსი, რაფაელი

**ფულემი-კრ.პალასი**

ფულემი: ***ტრავმ***-დამიენ დაფი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-კამერონ ჯერომი

**ვესტ ბრომვიჩი-სტოკი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ლიამ რინგეველი, ზოლტან გერა

სტოკი: ***ტრავმ***-რობერტ ჰანტი

**ტოტენჰემი-ასტონ ვილა**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-მუსა დემბელე, ანდრეს თაუსენდი, იან ვერტოგენი, კილი ვოლკერი, ეტიენ კაპუე, ერიკ ლამელა

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-გაბრიელ აგბონლაჰორი, ნიკლას ჰელენიუსი, კრისტიან ბენტეკე, იორის ოკორე, ლიბორ კოზაკი

**სანდერლენდი-სუონსი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-კარლოს კუელარი, სტივენ ფლეტჩერი, კირონ ვესტვუდი

სუონსი: ***ტრავმ***-ჩიკო ფლორესი, ანგელ რანგელი, მიჩუ

**ჰალი-ევერტონი**

ჰალი: ***ტრავმ***-ჯეიმს ჩესტერი, სონე აკულო, ალან მაკრეგორი, რობი ბრეიდი

ევერტონი: ***ტრავმ***-კევინ მირალესი, ბრაიან ივიედო, დარონ გიბსონი, არუნა კონე

**კარდიფი-ჩელსი**

კარდიფი: ***ტრავმ***-ენდრიუ ტეილორი, გარი მედელი, კევინ კატრაინი, კრეიგ ნოონი

ჩელსი: ***ტრავმ***-ოსკარი, პეტერ ჩეხი

**ნორვიჩი-არსენალი**

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ჯოზეფ იობო

არსენალი: ***ტრავმ***-აარონ რამზი, ალექს ოხშლეიდ-ჩემბერლეინი, კირომ გიბსი, სერჟ გნარბი, ჯეკ უილშირი, თეო უოლკოტი

**<u>სატურნირო ცხრილი:</u>**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 37 | 26 | 5 | 6 | 100-37 | 83 |
| 2.ლივერპული | 37 | 25 | 6 | 6 | 99-49 | 81 |
| 3.ჩელსი | 37 | 24 | 7 | 6 | 69-26 | 79 |
| 4.არსენალი | 37 | 23 | 7 | 7 | 66-41 | 76 |
| 5.ევერტონი | 37 | 20 | 9 | 8 | 59-39 | 69 |
| 6.ტოტენჰემი | 37 | 20 | 6 | 11 | 52-51 | 66 |
| 7.მანჩესტერი | 37 | 19 | 6 | 12 | 63-42 | 63 |
| 8.საუთჰემპტონი | 37 | 15 | 10 | 12 | 53-45 | 55 |
| 9.ნიუკასლი | 37 | 15 | 4 | 18 | 42-57 | 49 |
| 10.სტოკი | 37 | 12 | 11 | 14 | 43-51 | 47 |
| 11.კრ. პალასი | 37 | 13 | 5 | 19 | 31-46 | 44 |
| 12.ვესტ ჰემი | 37 | 11 | 7 | 19 | 40-49 | 40 |
| 13.სუონსი | 37 | 10 | 9 | 18 | 51-53 | 39 |
| 14.სანდერლენდი | 37 | 10 | 8 | 19 | 40-57 | 38 |
| 15.ასტონ ვილა | 37 | 10 | 8 | 19 | 39-58 | 38 |
| 16.ჰალი | 37 | 10 | 7 | 20 | 38-51 | 37 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 37 | 7 | 15 | 15 | 42-57 | 36 |
| 18.ნორვიჩი | 37 | 8 | 9 | 20 | 28-60 | 33 |
| 19.ფულემი | 37 | 9 | 4 | 24 | 38-83 | 31 |
| 20.კარდიფი | 37 | 7 | 9 | 21 | 31-72 | 30 |

**<u>ესპანეთი</u>**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.05 | ვილიარეალი-რაიო | 1.55 | 4.33 | 5.5 |
| 10.05 | ლევანტე-ვალენსია | 3.25 | 3.5 | 2.15 |
| 11.05 | ატლეტიკო-მალაგა | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 11.05 | ბეტისი-ვალიადოლიდი | 3.4 | 3.6 | 2.05 |
მაესტრო 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00, 22.00, 2.00, "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 8.20 SV 11 მაესტროზე (გამ) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "ჩემი შვილები"** 12.30, 13.02, 1.20, ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.15 ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე 13.30, 14.02 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 17.45, 2.00, "ყოველდღიური აბები" 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50, ახალი ა(მ)ბები 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30, ბრძოლა წესების გარეშე 0.15, **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

## ხუთშაბათი 15 მაისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 დ/ფ "ზღვის სიღრმეში" 15.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 17.00 დ/ფ "ინსტრუქცია ამერიკის ქალბატონი პრეზიდენტისთვის" 18.00 ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 19.15 "შემოძახილი" 21.00 ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 22.00 "არენა" 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ **"საბოლოო დანიშნულების ადგილი -3"** 02.00 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "ეპიცენტრი" (ოთხშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.50 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 12 სერ. 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 მხ/ფ **"გატაცებული"** (ჯ.ლუკასი) 01.55 მხ/ფ **"ღვთის გამოგზავნილი"** (რ.დე ნირო) (ტიტ.)

06.30 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"არ დამივიწყო"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი 00.00 თბილისი ლაივ 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი

08.00 GDS დილა 10.00 სერ. **"ლენა"** 11.00 TOP 10 12.00 შუადღე GDS-ზე 14.00 კიბერჰაუსი 14.30 ქვიშის ზღაპრები 14.45 მინიპედია 15.00 ბინა 18 16.00 დ/ფ "მსოფლიო ზემოდან" 16.30 ქვიშის ზღაპრები 16.45 მინიპედია 17.00 მისტერ ამიკო 17.30 ქვიშის ზღაპრები 17.45 მინიპედია 18.00 დ/ფ 19.00 სერ. **"ლენა"**. 20.00 პეპლის ეფექტი 21.00 სერ. **"ზემოქმედება"**. 22.00 მხ/ფ **"მე ვარ სემი"** 00.00 სერ. **"ნამდვილი სისხლი"**. 01.00 მუსიკა

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 დ/ფ "წმინდა მეფე თამარი" 07.05 დ/ფ "დედაო ღვთისა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 "ჩვენი ფონდი" 11.00 ქართული ალბომი 11.25 ეპოქის სახელები 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"მთვარის მოტაცება"** I სერ. 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 ქართული კინოს ვარსკვლავები 16.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 16.35 კონცერტი - ანს. **"ლაზარე"** 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 20.15 მოკ./ფ. **"ვალსი მთაწმინდაზე"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 დ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი" 22.25 საქართველოს ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "აღდგომიდან ამაღლებამდე" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00, 22.00, 2.00, "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 8.20 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "ჩემი შვილები"** 12.30, 13.02, 1.20, ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.15 ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე 13.30, 14.02 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 17.45 "ყოველდღიური აბები" 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50, ახალი ა(მ)ბები 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30, ბრძოლა წესების გარეშე 0.00, **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

## პარასკევი 16 მაისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "სპექტაკლის დრო" – "პროვინციული ამბავი" 17.00 დ/ფ "ეფლი" 18.00 ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 19.30 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 21.00 ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 ახალი ქართული კინო - მოკლემეტ. მხ/ფ **"შავი თუთა"** 00.00 მხ/ფ **"ვაჟიშვილები"** (ჰ.მირენი) 02.00 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ)

08.00, 10.00, 22.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა (პ/ტ) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.00 "ეპიცენტრი" (პ/ე)

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.50 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"**. 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 თოქ შოუ - რეაქცია 00.00 მხ/ფ **"დრაივი"** (ბ. კრენსტონი) 02.00 მხ/ფ **"გატაცებული"** (ჯ.ლუკასი)

06.30 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"არ დამივიწყო"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

08.00 GDS დილა 10.00 სერ. "ლენა" 11.00 TOP 10 12.00 შუადღე GDS-ზე 14.00 პეპლის ეფექტი 14.30 ქვიშის ზღაპრები 14.45 მინიპედია 15.00 სერ. **"ზემოქმედება"**. 16.00 დ/ფ "მსოფლიო ზემოდან" 16.30 ქვიშის ზღაპრები 16.45 მინიპედია 17.00 ჯიდიპედია 18.00 დ/ფ 19.00 სერ. **"ლენა"**. 20.00 პოპკორნი 21.00 სერ. **"ზემოქმედება"**. 22.00 მხ/ფ **"შერი"** 00.00 სერ. **"ნამდვილი სისხლი"**. 01.00 მუსიკა

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 ქართული კინოს ვარსკვლავები 07.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "აღდგომიდან ამაღლებამდე" 10.15 სახლი ღვთისა 11.30 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.00 მოკ./ფ. **"ვალსი მთაწმინდაზე"** 13.20 დ/ფ "წმინდა დიდმოწამე ბარბარე" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 ღალის ღვთისმშობლის ხატი 15ჟ40 დ/ფ "ევგენი მიქელაძე" 16.05 კონცერტი -ლიანა ისაკაძე და ახალგაზრდული ორკესტრი 17.00 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 წმინდა ნეოფიტე ურბნელი 19.35 მხ/ფ **"მთვარის მოტაცება"** II სერია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "მტკიცედ და ერთად" 23.40 წმინდა დიდმოწამე დედოფალი ქეთევანი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00, 22.00, 2.00, "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 8.20 ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") (გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "ჩემი შვილები"** 12.30, 13.02, 1.20, ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.15 ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე 13.30, 14.02 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 17.45 "ყოველდღიური აბები" 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50, ახალი ა(მ)ბები 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30, ბრძოლა წესების გარეშე 0.15, **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

## შაბათი 17 მაისი

08.00 საბ. ან/სერ. "კრიპტო - სუპერ ძაღლი" 09.40 საბ. ან/ფ "ვაშლის მარცვალი: EX მანქანა" 11.30 საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "მხიარული სტარტები" 13.30 კლასიკური მუსიკის შედევრები კოლაჟი 14.30 სატელევიზიო სპექტაკლი: **"ერთი რამის სიყვარული დაფარვა რომ სჭირდება"** 16.30 "გურმანია" 17.00 **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატის დასკვნითი ტური: (პ/ტრ) 19.00 "ეტალონი" 21.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 22.00 "წითელი ზონა" 23.00 1) დოკ/ფ "დედა, მამა მე გეი ვარ" რეჟ. ლ.ჯაყელი, 2) მხ/ფ **"ნაადრევი სუსხი"** რეჟ. პ.პინო 00.20 მხ/ფ **"უილბლონი"**

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "ეპიცენტრი" (პარ. გ/ჩვ) 12.00 დ/ფ "სონია რაკელი" 13.00 მხ/ფ **"ცხოვრება ისეთი როგორიც არის"** 15.00 დ/ფ "როგორ არის სამყარო მოწყობილი" 5 ნაწ. 17.00 "უნივერსიტეტი" 18.00 მხ/ფ **"ძვირფასი მეგობრები"** 20.00 მხ/ფ **"ვატელი"** (ჟ.დეპარდიე) 22.00 ტ/სერ. **"ლოლა, ვინ ხარ შენ ლოლა?"** I სერ. 23.00 მხ/ფ **"მარტოხელა გმირი"** (ბ.უილისი)

07.30 ან/ფ "სპანჯბობი" 1 სერ. 08.00 მხ/ფ **"დიდი ბავშვი"** 10.15, 16.50 TV - მარკეტი 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ვაკანსია 12.00 სერ. **"მერლინი"** 13.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 14.30 ორი ვარსკვლავი (გ/ჩ) 17.50, 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ადრენალინი 23.40 იდენტიფიკაცია 00.00 მხ/ფ **"ტალღების დამპყრობელი"** (ჯ.უესტონი) 02.00 მხ/ფ **"დრაივი"** (ბ.კრენსტონი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 09.55 ანიმაცია 10.00 "ნანუკას შოუ" (ოთხშაბათის გ/ჩ) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 იღბლიანი ბორბალი გ/ჩ 15.30 X - ფაქტორი (გ/ჩ) 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 რა? სად? როდის? 00.00 მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 00.30, მხ/ფ.

08.30 მუსიკა 11.00 სტილის სამყარო 12.00 ან. სერ. "თინეიჯერი ტიტანები" 12.30 მუსიკალური შოუ "ერთ-ერთში" გამეორება 15.00 ბინა 18 16.00 მხ/ფ **"მზის ამოსვლამდე"** 18.00 პოპკორნი 18.30 ქვიშის ზღაპრები 18.45 მინიპედია 19.00 სტილის სამყარო 19.45 ვარსკვლავების ცხოვრება 20.15 ან. სერ. "სუპერ ბიბა" 20.30 მისტერ ამიკო 21.00 სერ. **"პანიკის გარეშე"** 22.00 დ/ფ "ელიზაბედ ტეილორი" 23.00 სერ. **"სამეფო კარის თამაშები"**. 00.00 მხ/ფ **"ჰამლეტი"** 03.50 მუსიკა

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 დ/ფ "მტკიცედ და ერთად" 07.00 ღალის ღვთისმშობლის ხატი 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართ. მულტფილმი 11.00 კვირიაკე 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.10 მხ/ფ **"მთვარის მოტაცება"** II სერია 13.15 წმინდა ნეოფიტე ურბნელი 13.30 სადვთისმეტყველო საუბრები 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 მხ/ფ **"რიგითი რაიანის გადასარჩენად"** 17.20 დ/ფ "მაჭახელა" 18.10 დ/ფ "ობოლი სული - ივანე მაჩაბელი" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 თბილისის ტაძრები 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 დ/ფ "ცარიელია სახლი" 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "დედა ღვთისმშობელი" 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 მხ/ფ **"მაკენას ოქრო"** I სერია

მაესტრო 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00, "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 8.30 იუმორისტული შოუ -"4X4" (გამ.) 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "თანაგრძნობა"**(გამ.) 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 23.55, 1.50, კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 მაესტრო 18.30 "უცნობი ისტორიები" 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 1.20, "თქვენი გადახდილია" 23.30, 5.45 SV 11 მაესტროზე 0.00, 3.10, **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"** 1.00, 2.00, 4.00, ახალი ამბები (კოლაჟი) 2.20, "უცნობი ისტორიები"(გამ.) 2.45 გადაცემა "ფული და სურვილები"(გამ.)

## კვირა 18 მაისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" 09.00 საბ. მხ/ფ **"ფეხსაცმელი და ვარდი-კონკიას ამბავი"** 11.30 საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სამოთხის ვაშლები" 14.00 ქართ. მხ/ფ **"აბეზარა"** 15.30 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.30 მხ/ფ **"მზის იმპერია"** 20.30 "ტელებლოგი" 21.00 "ჩემი წიგნი" 22.00 ქართ. მხ/ფ **"როცა აყვავდა ნუში"** 23.20 მხ/ფ **"ჟოან ლუი"**

08.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 4 ნაწ. 09.00 "ბრიფინგის დრო" (შაბ. გ/ჩვ.) 10.00 მხ/ფ **"ნილზის შვილი"** 11.30 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი) 18.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 3 ნაწ. 19.30 მხ/ფ **"დასაწყისი"** (ლ.დიკაპრიო) 22.00 ტ/სერ. **"ლოლა, ვინ ხარ შენ ლოლა?"** II სერ. 23.00 მხ/ფ **"დათქმული დრო"** (რ.დაუნი)

07.30 ან/ფ "სპანჯბობი" 2 სერ. 08.00 მხ/ფ **"ფესტივალი კანში"** 10.10 ადრენალინი (გ/ჩ) 10.50, 16.50 TV - მარკეტი 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. **"მერლინი"** 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ (გ/ჩ) 17.30 ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) 20.00 პანორამა (60 წთ) 21.00 ღამის შოუ 22.00 მხ/ფ **"სტივ ჯობსი"** (ჯ. ვუდსი) 00.00 მხ/ფ **"სამართლიანი თამაში"** 01.50 მხ/ფ **"ტალღების დამპყრობელი"** (ჯ.უესტონი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.25 ანიმაცია 10.30 ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე (11 მაისის გ/ჩ) 14.00 ეკი ვოკი 15.30 პროფილი გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 21.00 P.S. 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 კომედი შოუ 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00, მხ/ფ.

08.30 მუსიკა 11.00 სტილის სამყარო 12.00 ან. სერ. "თინეიჯერი ტიტანები" 12.30 ვარსკვლავების ცხოვრება 13.00 ან. სერ. "სუპერ ბიბა" 13.15 ქვიშის ზღაპრები 13.30 მინიპედია 13.45 კიბერჰაუსი 14.30 დ/ფ "მსოფლიო ზემოდან" 15.00 მხ/ფ **"მზის ჩასვლამდე"** 17.00 პეპლის ეფექტი 17.30 ქვიშის ზღაპრები 17.45 მინიპედია 18.00 მისტერ ამიკო 19.00 სტილის სამყარო 19.30 ქვიშის ზღაპრები 19.45 მინიპედია 20.00 ჯიდიპედია 21.00 სერ. **"პანიკის გარეშე"** 22.00 დ/ფ "ლაიზა მინელი" 23.00 სერ. **"სამეფო კარის თამაშები"**. 00.00 მხ/ფ **"კონტაქტი"** 02.15 მუსიკა

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 თბილისის ტაძრები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.10 მხ/ფ **"ლომა"** 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.20 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სადვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.20 მხ/ფ **"მოკვეთილი"** 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ღირს არს ჭეშმარიტად" 00.45 პორტრეტები 01.30 მხ/ფ **"მაკენას ოქრო"** II სერია

მაესტრო 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.10 "უცნობი ისტორიები"(გამ.) 8.30 "თქვენი გადახდილია" (გამ.) 9.00 SV 11 მაესტროზე (გამ.) 9.20, 11.00, 12.30, 15.30, 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 2.50, კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 18.30, 2.20, ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") 19.00 **სერიალი "თანაგრძნობა"** 21.00 ვახო სანაიას რეპორტაჟი პ/ე 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, იუმორისტული შოუ - "4X4" 23.45, "აბების" კვირის ანეკდოტები (კოლაჟი) 0.00, **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"** 1.20, ვახო სანაიას რეპორტაჟი (გამ.)

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# უკრაინა: 9 მაისი დივერსიებისა და ძალადობის ფონზე

## რუსეთი ინტერვენციას ამზადებს, — აცხადებს უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი

– მიმდინარე წლის 9 მაისი უკრაინისათვის უჩვეულოდ დრამატული იქნება. არსებობს მონაცემები, რომ რუსული სპეცსამსახურები პროვოკაციებსა და დივერსიებს ამზადებენ, – განაცხადა უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ანდრეი პარუბიიმ.

ამ განცხადებას კრემლის რეაქცია მოჰყვა. ვლადიმერ პუტინმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ უკრაინაში ჯარების შეყვანის წინააღმდეგია. მან სეპარატისტებს 11 მაისისათვის დანიშნული რეფერენდუმის გადადებისაკენ მოუწოდა. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ექსტრემისტებმა აღნიშნული წინადადება უარყვეს:

– რეფერენდუმი აუცილებლად ჩატარდება, – ნათქვამია ე. წ. „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის" განცხადებაში.

**პროვოკაცია სლავიანსკში**

9 მაისს დილის ექვს საათზე ტერორისტების ჯგუფმა უკრაინის სამხედროებზე იერიში მიიტანა. ექსტრემისტები ერთ-ერთი ბლოკპოსტის დაკავებას შეეცადნენ. უკრაინელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს:

– ორმხრივი სროლის შედეგად რამდენიმე ტერორისტი დაიღუპა, არიან დაჭრილებიც, – იტყობინება უკრაინის მე–5 არხი.

თავდამსხმელებმა თავს გაქცევით უშველეს. სლავიანსკში კვლავინდებურად ვითარება უცვლელია. ტერორისტები ქალაქის ცენტრში არიან გამაგრებულნი, მაგრამ ტელეცენტრს და ყველა სტრატეგიულ მაღლობს უკრაინელი სამხედროები აკონტროლებენ. ქალაქზე აბსოლუტური კონტროლის დასამყარებლად უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმაღა დარჩა. უკრაინულმა არმიამ სლავიანსკი უნდა დაიკავოს. ჯარი საამისოდ მზადაა, მაგრამ კიევისგან სათანადო ბრძანება ჯერჯერობით არ მოდის.

– ქალაქის ცენტრში გამაგრებულმა სეპარატისტებმა 9 მაისი საზეიმოდ აღნიშნეს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

სეპარატისტებმა ქალაქის ცენტრში ლენინის ძეგლთან აღლუმი მოაწყვეს. შემდეგ შეკრებილ მცირერიცხოვან მოსახლეობას სიტყვით ე.წ. „დონეცკის სახალხო გუბერნატორმა" გუბარევმა მიმართა. ის, როგორც ცნობილია, პატიმრობიდან ორი დღის წინ გაათავისუფლეს. გუბარევმაც უმალ სლავიანსკს მიაშურა, რადგანაც დონეცკში მისი ადგილი აღარ არის. იქაურ სეპარატისტებს ახალი ლიდერი ჰყავს და გუბარევს ის კონკურენტად აღიქვამს.

– ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, დონეცკელი ფაშისტების ძალაუფლებას არასოდეს არ ვაღიარებთ, – განაცხადა გუბარევმა.

ანალოგიური ვითარებაა კრამატორსკშიც. უკრაინულმა ეროვნულმა გვარდიამ ქალაქი ტერორისტებისგან რამდენიმე საათის განმავლობაში გაწმინდა, მაგრამ შემდეგ, გაურკვეველი მიზეზებით, კრამატორსკი დატოვა. აქ ვითარება სლავიანსკისას ძალზე წააგავს. ცენტრს კვლავ ტერორისტები აკონტროლებენ, ყველა სტრატეგიულ წერტილს კი უკრაინელები.

**დივერსია და პროვოკაციები კიევში**

ფაშიზმზე გამარჯვების დღე კიევში 8 მაისს აღნიშნეს. კიევში გაიმართა საზეიმო კონცერტი, თუმცა დაძაბული ატმოსფერო ცხადლივ შეიგრძნობოდა. ყველამ იცოდა, რომ 9 მაისს ტერორისტები მთელი უკრაინის მასშტაბით გააქტიურებას აპირებდნენ. ტერაქტები და დივერსიები უკრაინის დედაქალაქშიც იგეგმებოდა. კიევის მილიცია მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე იქნა გადაყვანილი. მილიციელებთან ერთად ქალაქში თავდაცვითი რაზმების წევრებიც მორიგეობდნენ.

9 მაისს, გამთენიისას კიევში აფეთქების ხმა გაისმა. დივერსია ტელე-ანძის მახლობლად მოხდა. როგორც ჩანს, ტერორისტები ცდილობდნენ მთელი უკრაინული ტელე-მაუწყებლობა მწყობრიდან გამოეყვანათ, რადგანაც აფეთქება საკვანძო წერტილში მოხდა.

– შედეგად გაჩაღდა ხანძარი, – იტყობინება ტელე-კომპანია „ინტერი".

მეხანძრეები შემთხვევის ადგილზე დროულად გაჩნდნენ, მაგრამ ხანძრის ჩაქრობას მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ შეუდგნენ.

– ხანძრის ადგილას მაღალი ძაბვის კაბელები იყო განთავსებული. სანამ „კიევენერგომ" სათანადო სამუშაოები არ განახორციელა, მეხანძრეები საქმიანობას უბრალოდ ვერ შეუდგებოდნენ, რადგანაც ეს სიცოცხლისათვის საშიში იყო, – იტყობინება „ინტერი".

ბოლოს „კიევენერგომ" სათანადო ღონისძიებები განახორციელა. მეხანძრეებიც ხანძრის ჩაქრობას შეუდგნენ. ამან გარკვეული შედეგები გამოიღო. ხანძარი ლოკალიზებულ იქნა, უკრაინულმა ტელე-მაუწყებლობამაც მუშაობა ჩვეულ რეჟიმში განაგრძო, შეწყდა მხოლოდ პირველი ნაციონალურის, „ინტერის" და კიდევ რამდენიმე არხის მაუწყებლობა. გარკვეული დროის შემდეგ ამ არხებმაც მაუწყებლობა განაახლეს.

– კიევში ნამდვილი დივერსია მოხდა. აფეთქება ტელე-ანძასთან რუსული სპეცსამსახურების ნახელავია, – განაცხადა უკრაინის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვიქტორია სიუმარმა.

9 მაისს კიევში სხვა ექსცესებსაც ელოდნენ. კომუნისტები აპირებდნენ ქალაქის ცენტრში ჩვეული მანიფესტაცია მოეწყოთ. აღშფოთებული მოსახლეობა აცხადებდა, რომ თუკი ხრეშჩატიკზე წითელი დროშებითა და გიორგის ლენტებით აღჭურვილი კოლონა გამოჩნდებოდა, მას ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ.

– წითელი დროშის ქვეშ უკრაინელების გენოციდი მიმდინარეობდა. გიორგის ლენტები კი ვლასოველებს ჰქონდათ, რომლებმაც უკრაინული სოფლები მიწასთან გაასწორეს, – ამბობდა ხალხი.

ფიზიკური ანგარიშსწორების საფრთხე მართლაც დიდი იყო. კომუნისტებმაც გადაწყვიტეს თავიანი აქცია დიდების პარკში გაემართათ. მიუხედავად ამისა, ვითარება არ განიმუხტა. არსებობდა ინფორმაცია, რომ პროვოკატორების ჯგუფი „მემარჯვენე სექტორის" სახელით დიდების პარკში შეკრებილ ვეტერანებზე თავდასხმას ლამობდა. მართლაც, უკრაინის უშიშროებამ ქალაქის ცენტრში ცეცხლსასროლი იარაღით დატვირთული რამდენიმე მანქანა დააკავა. როგორც ჩანს, მისი მფლობელები იმ ჯგუფების წევრები არიან, რომლებიც კიევში პროვოკაციებს გეგმავდნენ.

პროვოკაციები დიდების პარკშიც უხვად იყო. კომუნისტებთან ერთად აქცია რეგიონების პარტიამაც ჩაატარა. რეგიონალთა



ერთ ნაწილს უკრაინული დროშები მოჰქონდა, მეორეს – პარტიული ბაირაღები. კომუნისტები ჩვეულებისამებრ წითელი დროშებით იყვნენ აღჭურვილნი. ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც პარკში ულტრა–მემარცხენე პროგრესიული სოციალისტური პარტიის (ლიდერი ნატალია ვიტრენკო) წევრები გამოჩნდნენ. მათ რეგიონალებს ფაშისტები უწოდეს, კომპარტიის წევრებს კი დოყლაპიები. წარმოიშვა ხელჩართული შეტაკების რეალური საფრთხე.

– მილიციამ ექსცესის აღკვეთა შეძლო, – იტყობინება ტელე-კომპანია მე-5 არხი.

**ინციდენტი დონეცკში**

დონეცკში 9 მაისის დადგომას ყველა გულისფანცქალით მოელოდა. არსებობდა ინფორმაცია, რომ პროვოკატორთა ჯგუფი „მემარჯვენე სექტორის" სახელით ვეტერანებზე თავდასხმას გეგმავდა. ქალაქშიაც დაძაბული ატმოსფერო სუფევდა. გამძაფრდა კონფლიქტი ე.წ. „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის" მომხრეთა და საოლქო საბჭოს ხელმძღვანელობას შორის.

– 9 მაისს ეს ნათლად წარმოჩინდა, – იტყობინება მე-5 არხი.

დონეცკის საქალაქო საბჭოს დადგენილებით, 9 მაისის აღსანიშნავად საზეიმო მიტინგი ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღეს დონეცკის მერმა ლუკიანჩენკომ, აგრეთვე ვეტერანებმა. მიტინგზე ე.წ. „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის" წარმომადგენლებიც მოვიდნენ და მიკროფონთან მისვლა სცადეს.

– ლუკიანჩენკომ მათ ამის საშუალება არ მისცა, – იტყობინება მე-5 არხი.

სეპარატისტების გააფთრებას საზღვარი არა ჰქონდა. ისინი ლუკიანჩენკოს ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ. ლუკიანჩენკო მუქარას არ შეუშინდა. მაშინ სეპარატისტებმა მიკროფონთან ძალით მისვლა სცადეს.

– მათ წინ მილიცია აღუდგა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

ექსტრემისტები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. მიკროფონთან მისვლა მათ მხოლოდ მიტინგის დასრულების შემდეგ შეძლეს. ისინი შეეცადნენ თავიანთი აქცია ჩაეტარებინათ, მაგრამ ამაოდ. შეკრებილი ხალხი დაიშალა.

– ეს უკანასკნელი ინცინდენტი როდი იყო, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

შუადღისას დონეცკში ახალი ექსცესი მოხდა. ტერორისტების ჯგუფი შრომა-გასწორების კოლონიას თავს დაესხა და პატიმრების გათავისუფლება მოინდომა. დაცვამ საპასუხო ცეცხლი გახსნა. ხანმოკლე ორმხრივი სროლის შემდეგ ტერორისტები უკუიქცნენ.

**ბრძოლები მარიუპოლში**

ქალაქში ვითარება 8 მაისს დაიძაბა. სეპარატისტების ჯგუფი მარიუპოლის ქალაქის საბჭოს შენობაში შეიჭრა და ზედ რუსეთის დროშა აღმართა. ადგილობრივმა უკრაინელმა პატრიოტებმა ისინი შენობიდან ცემა-ტყეპით გამოაძევეს. ქალაქის საბჭოს შენობის დაცვა კი მილიციამ იკისრა.

– გამთენიისას მილიციელთა კორდონმა იქაურობა მოულოდნელად დატოვა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

სეპარატისტებმა ამით ისარგებლეს და ქალაქის საბჭოს შენობა კვლავ დაიკავეს, უკრაინული დროშა ჩამოხსნეს და მის ნაცვლად რუსული აღმართეს. 9 მაისს დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. სეპარატისტების ჯგუფმა იერიში მარიუპოლის მილიციის შენობაზე მიიტანა.

– მათ მილიციელებს იარაღის დაყრა და ე.წ. „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის" მხარეს გადასვლა მოსთხოვეს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

მილიციელებმა უარით უპასუხეს. მაშინ სეპარატისტებმა მილიციის შენობას ცეცხლი გაუხსნეს. შედეგად რვა მილიციელი დაიჭრა, ერთი დაიღუპა. შეიარაღებული ტერორისტები შენობაში შეიჭრნენ და დატყვევებული მილიციელების განიარაღებას შეუდგნენ.

– პასუხად ქალაქში უკრაინის ეროვნული გვარდიის ნაწილები შევიდნენ, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

მარიუპოლის ქუჩებში ნამდვილი ბრძოლები გაიმართა. გვარდიელებმა ტერორისტები ალყაში მოაქციეს. დეპუტატ ლიკაშკოს ცნობით, გაცემულია ბრძანება ყველა ბანდიტის ლიკვიდაციის შესახებ. იმედია, ოფიციალური კიევი ამჯერად მის შესრულებას ხელს არ შეუშლის.

**ტერორი არ წყდება**

9 მაისს ტერორისტებმა უკრაინის სამხრეთ რეგიონშიც სცადეს გააქტიურება. ოდესაში საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს იზმაილოვოს საქალაქო საბჭოს დეპუტატი დმიტრიევი. ნიკოლაევში უკრაინის უშიშროების სამსახურმა ტერორისტების ჯგუფი დააკავა და ჩამოართვა დანები, კასეტები, ცეცხლსასროლი იარაღი.

– თანახმად ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციისა, აღნიშნული ჯგუფი 9 მაისს ნიკოლაევში ტერაქტებს გეგმავდა. ისინი აპირებდნენ „მემარჯვენე სექტორის" სახელით ვეტერანებს თავს დასხმოდნენ, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსის ვალენტინ ნალივაიჩენკოს ცნობით, უკრაინელი ჩეკისტები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რათა სისხლიანი ექსცესები თავიდან იქნას აცილებული. მიუხედავად ამისა, სეპარატისტები ტერორს განაგრძობენ.

– ამაში მათ მხარს რუსეთი უჭერს, – ამბობს ნალივაიჩენკო.

**პუტინი ინტერვენციისთვის ემზადება?**

8 მაისს კრემლში ვლადიმერ პუტინი დსთ-ს ქვეყნების მეთაურებს შეხვდა. ტელე-კომპანია „ინტერის" ცნობით, საუბარი უკრაინაში შექმნილ მდგომარეობას შეეხო.

– პუტინი ინტერვენციას ამზადებს. მას სურს ჩვენს ქვეყანაში ე.წ. „სამშვიდობო ძალები" შემოიყვანოს, რათა მოსახლეობა ე.წ. „უკრაინელი ფაშისტებისგან" დაიცვას, – აცხადებს უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი ანდრეი პარუბიი.

დასავლეთი, თავის მხრივ, ყოველნაირად ცდილობს უკრაინაში რუსეთის შეჭრა თავიდან აიცილოს. აშშ და ევროკავშირი რუსეთს ახალი სანქციებით ემუქრება. თავად უკრაინელები კი სამშობლოს დასაცავად ემზადებიან. ვითარება ჯერჯერობით კვლავაც დაძაბულია.

**ნიკა თევზაძე**

## სამგლოვიარო განცხადებები

1957 წელს ქ.თბილისის 57-ე საშუალო სკოლადამთავრებულები გურამ ცქირია, ჟორა სიხარულიძე, ქუჩი სხირტლაძე, ირაკლი მეგრელაძე, ილო ჯაჯანაშვილი, ნუგზარ იზორია, ელდარ ფხაკაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი, ღირსეული მამულიშვილი

**ავთანდილ კიზირია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.

დაკრძალვა: კვირას, 11 მაისს, 14 საათზე.

მისამართი: ტ.ტაბიძის 78.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ავსტრალიელი კომპოზიტორი, ოპერა „ფიგაროს ქორწინების" მუსიკის ავტორი; 2. რაიმე მოქმედების აღმძვრელი მიზეზი; 3. ქართული მშრალი სამარკო ღვინო, რომელიც იწარმოება 1886 წლიდან, მინიჭებული ჰქონდა პირველი ნომერი; 4. კვანტური მექანიკის ფუძემდებელი გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 9. საზეიმო სიმღერა, სახელმწიფოს სიმბოლო; 10. ფანტასტიკური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 14. სპორტის სათამაშო სახეობა; 15. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 16. უბანი თბილისში; 19. წვრილმანი, ფორმალური წესების დამცველი ადამიანი; 20. დაბალი ხარისხის შაქარი; 21. ძრავიანი ველოსიპედი.

**თარაზულად:** 6. სახელმწიფოს ძირითადი კანონი; 7. სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 11. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 12. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 13. გადასახდელსახურავიანი ძველებური ეტლი; 17. გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი; 18. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 22. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონთა კრებული; 23. გიგანტური აფრიკული ხე; 24. გემის ოფიციანტი; 25. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. იჩქერია; 2. მატროსი; 3. ამქარი; 4. პროზა; 5. კოსინუსი; 7. ლეი; 11. ტრაქტი; 15. კაპრონი; 16. ტაბიძე; 17. პიუზო; 18. ტურნე; 20. განგი; 22. ლაგი.

**თარაზულად**: 6. ჩოხელი; 8. ვანდომი; 9. გლობუსი; 10. ერუდიტი; 12. „პორტო"; 13. ამანი; 14. რადამესი; 19. დოპინგი; 21. ღიმილი; 23. უნაბი; 24. უზანგი; 25. ანალგია; 26. რეპრესია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პროფანი; 2. ბოიკოტი; 3. არბიტრაჟი; 4. ლიკუდი; 5. არმანი; 9. ბადრო; 10. ავენიდა; 14. ჰიდროფობია; 15. შუშაბანდი; 16. გრინგო; 19. მისტიკა; 20. „ჩინური"; 21. კრისტი.

**თარაზულად**: 6. პროვოკატორი; 7. მადიარი; 8. აფრიკა; 11. შარდენი; 12. ოტავა; 13. ვამპირი; 17. კურლანდია; 18. კარლსბადი; 22. ფიდიასი; 23. გურზუფი; 24. ოკულისტი; 25. ლინოტიპი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 maisi


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7605 |
| ევრო | 2.4522 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2.9867 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9596 |

## ამინდის პროგნოზი 10 მაისისთვის





10 მაისიდან შიო გვეტაძის ლეგენდარული დეტექტივი მონანიება „ახალ თაობასთან“ ერთად




ფასი 5 ლარი


# თბილისის მოდის კვირეული გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

ერთწლიანი შესვენების შემდეგ თბილისის მოდის კვირეული დაბრუნდა და საზეიმო ვითარებაში ვარდების ბაღში გაიხსნა. ღონისძიების ორგანიზატორთა ინფორმაციით, თბილისის მოდის კვირეული დატვირთულია სხვადასხვა პროექტით, რომლებიც 10 მაისის ჩაითვლით გაიმართება.

– საქართველოს ყველაზე მოდურ ღონისძიებას ამჯერად ვარდების ბაღი მასპინძლობს, სადაცსაგულდაგულოდ კვირეულისათვის მოწყობილ სივრცეში, ჩვენებებთან ერთად სხვა ღონისძიებებიც არის დაგეგმილი. თბილისის მოდის კვირეულის პირველ დღეს მოეწყო ორი ჩვენება, ატელიემ „კიკალა“ და გოლა დამიანმა (დალოოდ ჯგუფი) წარმოადგინეს შემოდგომა/ზამთრის 2014-15 წლის კოლექციები. გახსნაზე მოეწყო ლიგ სტუდიოს დამფუძნებლის, ფოტოგრაფ ირაკლი ღუღუნიშვილის გამოფენაც, რომელიც არაერთი სეზონი იყო თბილისის მოდის პარტნიორის ერთგული პარტნიორი და მეგობარი. ტრაგიკულად დაღუპული ფოტოგრაფის საუკეთესო ფოტოები გამოიფინა ვარდების ბაღში და ეს გაგრძელდება მოდის კვირეულის მიმდინარეობისას. – განაცხადა თბილისის მოდის კვირეულის კურატორმა ჯაბა სიხარულიძემ.

მისივე თქმით, თბილისის მოდის კვირეულის ძირითად პროგრამაში 20-მდე ქართველი დიზაინერის ჩვენება მოეწყობა: ავთანდილი, მოდის სახლი „მატერია“, დათუნა სულიკაშვილი, გიორგი შალაშვილი, ლელა ელოშვილი, რამონე ბაი რამაზო რომა, ქეთი ჩხიკვაძე, აკა ნანიტაშვილი, თეონა გარდაფხაძე და სალე დე მოდე.

–უკვე სახელგანთქმულ დიზაინერებთან ერთად, მოდის კვირეულზე წელს ახალი სახელებიც გამოჩნდებიან. წინა წლის საუკეთესო დამწყები დიზაინერი მარიამ მახარაძე, მარიამ გვასალია, მეჩ ენდ მეჩ და დიანა ქვარიანი, რომლის ჩვენებაც კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფოიეში გაიმართება. 10 მაისს დამწყებ დიზაინერთა კონკურსი გაიმართება, რომლის ჟიურიში უცხოელი სტუმრები იქნებიან. მათ შორის, იტალიელი მოდის კონსულტანტი ჯანი ფონტანა და სერენა ტოფეტი, რომლებიც გამარჯვებულ ნიუქამერს სპეციალური პრიზით დააჯილდოვებენ. კვირეულის ფარგლებში, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით გაიმართება მასტერკლასები სასტუმროში „ჰოლიდეინ ინნ“, მათზე დასწრების შესაძლებლობა ყველა მსურველს ექნება, განსაკუთრებით სახელოვნებო უნივერსიტეტებიდან. წელს თბილისის მოდის კვირეულს საერთაშორისო გამოცემების წარმომადგენლები დააკვირდებიან და გააშუქებენ. ღონისძიების სპონსორი სავაჭრო სახლი „გოლეთიანი“ წარმოადგენს ნოკია იქს ანდროლას, ასევე ბლიც ინტერვიუებსა და ჩვენებების შეფასებებს, სტუმრების კომენტარებსა და სხვადასხვა საინტერესო და, რაც მთავარია, ექსკლუზიურ ინფორმაციებს. – ამბობს თბილისის მოდის კვირეულის წარმომადგენელი.

თბილისის მოდის კვირეული წელს უცხოელი ბლოგერებისა და ბაიერების სიმრავლითაც არის გამორჩეული. როგორც ღონისძი-




იდს. მისი ფრომოუშენი მოხდება კვირეულის ლოკაციაზე, ასევე ონლაინ რეჟიმში განთავსდება ნოკიათი გადაღებული ფოტოები კვირეულის ოფიციალურ სოციალურ ქსელებში. სავაჭრო სახლი „გოლეთიანი“ რამდენიმე სტუმარსაც დაასაჩუქრებს ნოკიას ტელეფონით. ტრადიციულად, გრძელდება იმიჯაკადემია „ნატალის“ და თბილისის მოდის კვირეულის თანამშრომლობა, რომლის ბექსთეიჯში მოდელების მაკიაჟსა და თმის ვარცხნილობაზე სწორად იმიჯაკადემია „ნატალის“ პროფესიონალები იზრუნებენ ქრისტინე რეჯინის და იმიჯმეიკერი რიჩარდ ვალოიანის ხელმძღვანელობით. – აღნიშნავს ჯაბა სიხარულიძე.

15 მაისამდე განახლებულ ფლაბოურში მოეწყობა თბილისის მოდის კვირეულის შოურუმები.

– შარდენის პირველ ნომერში განლაგებულ სივრცეში წამყვანი ქართველი დიზაინერების ექსკლუზიური „კაფსულა კოლექციები“ იქნება მოდურად ჩაცმის მოყვარულთათვის, ხოლო ვინც ვერ დაესწრება ჩვენებებს, შეძლებს თბილისი ფეშენ ვიქზე წარმოდგენილი ექსკლუზიური სამოსის დათვალიერებასა და შეძენას ფლაბოურში. მოდის კვირეულის სპონსორის კომპანია „ორიფლეიმის“ მიერ დაიგეგმა საპატიო სტუმრის იონას ვრამელის სტუმრობა თბილისში მხოლოდ ერთი დღით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე – თბილისის მოდის კვირეულს წელს თავისი დღიურები ექნება ბლოგის სახით, რომლის ავტორებიც დღიურებში განათავსებენ ექსკლუზიურ ფოტო და ვიდეო მასალას, ასევე ბლიც ინტერვიუებსა...

ების სტუმარმა ჩეს სმიტმა ქართველ ჟურნალისტებს უთხრა:

– რაღაც ახალს ვეძებ, მოდა დასავლეთში ისე გამოიყურება, თითქოს უკვე ყველაფერი ერთია, ყველა დიზაინერი ერთმანეთს უყურებს და ერთმანეთის გავლენის ქვეშ ექცევა. ამიტომ ძალიან საინტერესოა ისეთი ადგილების მოსინჯვა, სადაც შეიძლება რამე ახალი აღმოაჩინო. ძალიან მაინტერესებს ქართველი დიზაინერების ნამუშევრები.

თბილისის მოდის კვირეულის ყველა ღონისძიება უკვე დეტალურად გაწერილია. წლევანდელ ჩვენებებს დათუნა სულიკაშვილი თავისი ახალი კოლექციის ჩვენებით დახურავს.

– ჩვენ ყოველთვის აქტიურად ვთანამშრომლობდით თბილისის მოდის კვირეულთან და ირაკლიც აქტიურად იღებდა ყველა ჩვენებას. გარკვეულწილად სიმბოლურიც არის რომ „თბილისის მოდის კვირეული“ სწორედ მისი ფოტოების გამოფენით დაიწყო. – განაცხადა ტრაგიკულად გარდაცვლილი ფოტოხელოვანის ირაკლი ღუღუნიშვილის ძმამ ლაშა ღუღუნიშვილმა.

თბილისის მოდის კვირეულის ერთ-ერთი ორგანიზატორის თაკო ჩხეიძის თქმით:

– გაზაფხულია, მაისია გადავწყვიტეთ ვარდების ბაღი, მგონია, რომ ეს კომუნიკაციისთვის ძალიან კარგი ადგილია, ძალიან დიდი პოტენციალი გვაქვს ჩვენ ქართველებს და ქართველ დიზაინერებს იმისთვის, რომ ძალიან დიდი წვლილი შევიტანოთ თუნდაც ქართულ ეკონომიკაში.

# ჯანო ანანიძე რუსეთის თასის მფლობელია

რუსეთის თასის ფინალში „როსტოვმა“ „კრასნოდარს“ მოუგო. ძირითადი და დამატებითი დრო 0:0 დასრულდა, პენალტების სერიაში კი ჯანო ანანიძის კლუბმა 6:5 იმარჯვა და ისტორიაში პირველი ტიტული მოიპოვა.

ჯანო ანანიძემ 86 წუთი გაატარა მინდორზე, რუსეთის თასის მოგება კი საქართველოს დროშით იზეიმა.



მატჩის შემდეგ ქართველმა ნახევარმცველმა თამაში შეაფასა.

ჯანო ანანიძე:

– საწყისი 15-20 წუთი მოედანზე არეულობა იყო. შემდეგ დალაგდა სიტუაცია. გუნდები დიდი ძალით შეტევაში გადასვლისგან თავს იკავებდნენ. ნათელი იყო, რომ პენალტების სერიამდე მივიდოდა საქმე. მოწინააღმდეგე საკმაოდ კარგი გუნდია. მატჩის მონაწილეებისთვის პირველი ფინალი იყო და ყველა მაქსიმალურად ვიხარჯებოდით. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ როგორ მდგომარეობაში იყო. შეცდომა არ უნდა დაგვეშვა. გარისკვა არ ღირდა. თასის მოგებას ნამდვილად არ ველოდი. გასული სეზონით კმაყოფილი ვარ. ჩემი თამაშიც დამაკმაყოფილებელია და გუნდის ასპარეზობაც. საკმაოდ ბევრი საგოლე პასი მივითვალე. რაც შეეხება ტრავმას, გამოკვლევა უნდა ჩავიტარო და ცოტა ხნით დავისვენებ. ზაფხულში „სპარტაკში“ ვბრუნდები და კარგ ფორმაში უნდა ვიყო. მაისის ბოლოს საქართველოს ნაკრებსაც აქვს თამაში.

„როსტოვის“ ფეხბურთელებს გვიან ღამით აეროპორტში ასობით გულშემატკივარი დახვდა.

## h3xცღxჰრბ ფ



**შვეულად:** 1. ძველი გერმანული ტომი; 2. ქართული ძილისპირული; 3. ფულის გამოშვება; 4. ღვინის დანალექი; 5. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 7. მუხის ნაყოფი; 11. ისრაელის ოფიციალური სახელმწიფო; 15. ფრანგი მოდელიორი; 16. პატარა რესტორანი საფრანგეთში; 17. საჭმელი სოკო; 18. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 20. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 6. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 8. მშრალად მოხარშული ძროხის ან ცხვრის ხორცის კერძი; 9. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 10. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული გიგანტური წიწვოვანი ხე; 12. მღრღნელი ჭია, მატლების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 13. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 19. მარგალიტების ყელსაბამის ძველი ქართული სახელწოდება; 21. რეგიონი კახეთში; 23. ომის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 24. ტყვიათუთიის საბადო სამაჩაბლოში; 25. რაიმეს შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 26. მოძღვრება რელიგიის შესახებ.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## fcnhjghjuyjpb

### 10 მაისი _ ეს დღე მშვიდად ჩაივლის

**ვერძი** – სახლში სიმშვიდეა, კარგი ამბებია მოსალოდნელი. **კურო** – ფული გაქვთ, წამოჭრილ პრობლემას ადვილად გადალახავთ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **ლომი** – საქმეს ბოლომდე მიიყვანთ და ფულიც გექნებათ. **ქალწული** – ზედმეტი აქტიურობა არ ღირს, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** – არ აყვეთ ჭორებს, ყური მიუგდეთ ინტუიციას. **ღრიანკალი** – დაისვენეთ მყუდრო სიტუაციაში, არ გადაიღალოთ. **მშვილდოსანი** – მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ, ასე აჯობებს. **თხის რქა** – ყურადღების ცენტრში ხართ, თქვენ სხვები გბაძავენ. **მერწყული** – თქვენთვის მთლიანობაში იღბლიანი დღეა, სასაყვედურო არაფერი გაქვთ. **თევზები** – დაისვენეთ, დამშვიდდით.

### 11 მაისი _ მშვენიერი დღეა

**ვერძი** – აგიმაღლდებათ განწყობა, სიხარულის განცდა არ გტოვებთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – ყველაფერი ისეა, როგორც გეგმავდით. **ლომი** – ახალი პროექტი გაამართლებს, ფულიც გექნებათ. **ქალწული** – ფული გაქვთ, პრობლემა მოგვარდება. **სასწორი** – ყველაფერი კარგად არის და კარგ ხასიათზეც ხართ. **ღრიანკალი** – ცხოვრება გეცვლებათ, თავს მშვიდად გრძნობთ. **მშვილდოსანი** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, შეხვდით მეგობრებს. **მერწყული** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა მალე შედგება. **თევზები** – ჰარმონიული დღე თქვენზე დადებითად იმოქმედებს.

უბცეჰეტ,ს ,ტცყბტჰ ცქტს=






კეჰ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ